პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

პარასკევი,
28
მაისი
1937 წ.
№ 120 (4921)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში

- ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ პარტიის რიგების ზრდას! (მოწინავე).
- მფრინავი მაზურუკი დაეშვა პოლუსს იქით.
- გაიხსნა სომხეთის კომპარტიის X ყრილობა.
- მეორე ხუთწლედის სახელმწიფო საშინაო სესხი.
- კ. ჭკუასელი — სახალხო განათლება მესამე ხუთწლედში (ფელეტონი).
- ა. გალათუროვი, მ. კახრამანოვი პირუტყვის ალყერის შედეგი (ფელეტონი).

უცხოეთში

- გამოხმაურება საზღვარგარეთ საბჭოთა პოლარელების შესანიშნავი გამარჯვების გამო.
- ესპანეთის ფრონტებზე.
- საბჭოთა საზღვრის დარღვევა იაპონელ-მანჯურთა რაზმის მიერ.

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ პარტიის რიგების ზრდას!

ბოლშევიკური პარტია ძლიერია, მის ორმილიონიან რიგებში გაერთიანებული არიან რკინისებური დისციპლინით შემჭიდროვებული მებრძოლნი. ჩვენი პარტიის სიძლიერე მდგომარეობს მასში, რომ ის მჭიდროდაა დაკავშირებული თავის კლასთან. ის პირველი პარტიაა მსოფლიოში, რომელიც ყველაფერზე მაღლა თავისი კლასის ინტერესებს აყენებს. ბოლშევიკებს უწყვეტი ძაფები აკავშირებს „თავის დედასთან, მასებთან, რომლებმაც ისინი შობეს, გამოჰკვებეს და გამოზარდეს“. და როგორც ჩვენი პარტიის და მსოფლიო მუშათა კლასის ბრძენი ბელადი დიდი სტალინი გვასწავლის, სანამ ბოლშევიკებს... „კავშირი აქვთ თავის დედასთან, ხალხთან, მათ ყველა შანსი აქვთ იმისა, რომ უძლეველი დარჩნენ“.

ბოლშევიკური პარტია თავის ძალას ჰკრეფს იმ უდიდესი რეზერვებიდან—ადამიანთა იმ მარაგიდან, რომელიც ჩვენს ქვეყანას მოეპოვება. ეს რეზერვებია: ლენინური კომკავშირი, პარტიის თანამგრძნობთა ჯგუფები, ჩვენი სამშობლოს წარჩინებული ადამიანები — ორდენოსნები, სტახანოველები, დამკვრელები.

თავის რიგების ზრდას პარტია მუდამ უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევდა, რადგან სწორედ პარტიის რიგების ზრდის მოწესრიგებაზე დიდად არის დამოკიდებული პარტიის ბრძოლისუნარიანობა, მისი შემადგენლობის სიწმინდე და ფოლადისებური გამძლეობა.

პარტდოკუმენტების შემოწმებამ, რომელიც ამხანაგი სტალინის ინიციატივით ჩატარდა, ნათელჰყო, რომ ცალკეული ორგანიზაციების უდარდელობამ და დანაშაულებრივმა გულგრილობამ ხელი შეუწყო პარტიისა და ხალხის მტრებს გამძვრალიყვნენ პარტიაში. ტროცკისტ-მავნებლების, დივერსანტების, ფაშიზმის აგენტების ძალა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მათ ჰქონდათ პარტიული ბილეთები. სწორედ პარტიული ბილეთით ჰფარავდნენ ისინი თავიანთ ბინძურ, მავნებლურ სახეს.

პარტდოკუმენტების შემოწმებიდან პარტიამ შესაფერისი დასკვნები გააკეთა. მოწესრიგდა ჩვენი პარტიული მეურნეობა. პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რაიკომები და ქალაქკომები პარტიაში ახალ წევრთა მიღებისას მთელი სიზუსტით იცავენ პარტიის წესდების ყველა მოთხოვნებს.

მაგრამ ამ მხრივ საქმე ყველგან როდი გვაქვს კარგად. საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა ცალკეულ რგოლებში პარტიის რიგების ზრდას ჯერ კიდევ არ ეთმობა ჯეროვანი ყურადღება. ცალკეული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში ვხვდებით წესდების დამახინჯების ფაქტებს. მთელი რიგი რაიკომები და ქალაქკომები არ იცავენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გასული წლის 29 სექტემბრის დადგენილებაში მოცემულ პირობებსა და წესებს. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა რაიონულ კომიტეტებს უკანვე დაუბრუნა პარტიაში მიღების შესახებ გამოგზავნილი საქმეების თითქმის 80 პროცენტი.

რაიონული და საქალაქო კომიტეტები პარტიაში ახალ წევრთა მიღების დროს ყველგან მთელი სიზუსტით არ იცავენ პარტიის წესდების მოთხოვნებს. ხშირად პარტიაში მისაღებთა რეკომენდატორებს არა აქვთ საკმაო პარტიული სტაჟი. ასეთ ორგანიზაციათა რიცხვს ეკუთვნის: მახარაძის, წულუკიძის, სამტრედიის, საგარეჯოს და ქუთაისის პარტიული ორგანიზაციები.

ზოგიერთი რაიონული პარტიული ორგანიზაცია, მიუხედავად არსებული წესისა, არჩევს პარტიაში ისეთ პირთა მიღების საკითხს, რომელთა საქმეში დართული არ არის პარტიაში შემსვლელის დახასიათება მუშაობის ადგილიდან. პირველადი პარტიული ორგანიზაციების და რაიონული პარტიული კომიტეტების მხრივ ამ წესის უგულებელყოფა პარტიაში შესვლას უადვილებს უღირს პირებს.

პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც ფორმალობად მიაჩნიათ დახასიათების წარმოდგენის საჭიროება, რეკომენდატორთა სტაჟის სისრულე, ანკეტის და სხვა დოკუმენტების ზუსტად შევსების აუცილებლობა, რეკომენდატორის კრებაზე დასწრების საჭიროება, თავისდაუნებურად პარტიაში გაძვრომას უადვილებენ პარტიისათვის უცხო და მიუღებელ ელემენტებს.

პარტიაში ახალ წევრთა მიღების შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული პირობებისა და წესის დარღვევამ და უგულებელყოფამ გამოიწვია ის, რომ ცხაკაიას რაიონულმა კომიტეტმა კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადარიცხა ისეთი პიროვნება, რომელმაც დაჰფარა კლასობრივი მტრის კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული გამოსვლები.

რაიონული პარტიული ორგანიზაციები ხშირად პარტიაში ღებულობენ ისეთ ამხანაგებს, რომლებიც პოლიტიკურად სრულებით მოუმზადებელი არიან. ასეთ შემთხვევებს ვხვდებით არა მარტო სოფლის პარტორგანიზაციებში, არამედ საქალაქო პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაშიც. ასე, მაგალითად, მიმდინარე წლის თებერვალში თბილისის კომიტეტმა პარტიაში მიღებაზე უარი უთხრა ამხ. ტონოიანს, რადგან ის პოლიტიკურად სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ამხ. ა. ტონოიანის პარტიაში მიღების დროს მის პოლიტიკურ მომზადებას თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიკომმა, როგორც ჩანს, ნაკლები ყურადღება მიაქცია. ასეთივე ბედი ეწია ამხ. არ. მელიქოვს კიროვის სახელობის რაიონიდან, ამხ. ს. კობიძეს მაუდის ფაბრიკიდან (სტალინის სახელობის რაიონი) და სხვ.

პირველადმა ორგანიზაციებმა და რაიონულმა კომიტეტებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ პარტიის რიგებისათვის შეარჩიონ უკეთესნი უკეთესთაგან. ბოლშევიკური პარტიის რეზერვიდან - კომკავშირიდან, თანამგრძნობებიდან, უპარტიო ბოლშევიკთაგან პარტიამ უნდა მიიღოს კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული, პოლიტიკურად მომზადებული ამხანაგები.

მთელ რიგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში პარტიაში ახალ წევრთა მიღებისათვის ჯერ თითქმის არაფერი გაუკეთებიათ. მაგალითად, კასპის რაიონის ქვემოჭალის, ნიგოზას, მტს-ის და სხვ. პირველადს პარტორგანიზაციებში პარტიაში ჯერ ერთი წევრიც არ მიუღიათ. კასპის რაიონი გამონაკლისს როდი წარმოადგენს. მსგავს შემთხვევებს მრავლად ვხვდებით სხვა რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებშიც. თბილისის ორთქლმავალ-ვაგონთა შემკეთებელი ქარხნის პარტორგანიზაციაში 150 თანამგრძნობიდან და რამდენიმე ასეული სტახანოველიდან მხოლოდ რამდენიმე კაცი მიიღეს პარტიაში. რაიონულმა პარტიულმა კომიტეტებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები ისეთი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც „თავს იკავებენ“ პარტიაში ახალ წევრთა მიღებისაგან.

საჭიროა დროულად აღმოვფხვრათ პარტიაში ახალ წევრთა მიღების საქმეში არსებული შეცდომები და დამახინჯებანი. რაიონული კომიტეტების მდივნებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და დახმარება პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი, რათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები რაიონულ კომიტეტებს უგზავნიდნენ პარტიაში მიღებულთა საქმეებს, პარტიის წესდების ყველა მოთხოვნათა დაცვით გაფორმებულს.

პარტიის რიგების ზრდის საქმეში თვითეული პარტიული ორგანიზაციის ამოცანა ის უნდა იყოს, რომ ყოველმხრივ გააძლიერონ ბოლშევიკური რევოლუციური სიფხიზლე, რათა ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში არ მოხვდეს უცხო, პარტიისა და ჩვენი ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი ელემენტი, რათა პარტია იზრდებოდეს ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანების ხარჯზე, რომ კომუნიზმის საქმისათვის მებრძოლთა რიგებს — კომუნიზმის პარტიას შეემატოს საუკეთესონი უკეთესთაგან.

გაიხსნა სომხეთის კომპარტიის X ყრილობა

ერევანი, 27 მაისი (საქდესი). 26 მაისს საღამოს 7 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში გაიხსნა სომხეთის კომპრატიის ყრილობა. ყრილობას ესწრება 435 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 78-სათათბირო ხმით. არჩეულია ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები.

ყრილობამ ხანგრძლივი მქუხარე ტაშისცემით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით, ამხანაგები ეჟოვი, დიმიტროვი, ტელმანი, ხოზე დიასი.

საანგარიშო მოხსენებას სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობაზე გააკეთებს სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ამატუნი 27 მაისს დილის სხდომაზე.

◇ ◇ ◇

მეორე ხუთწლედის სახელმწიფო საშინაო სესხი

(მეოთხე წლის გამოშვება), წაუგებელი გამოშვება

მოსკოვი, 27 მაისი (საქდესი). 1937 წლის 25 და 26 მაისს მოსკოვში სწარმოებდა მოგებათა ტირაჟი. ტირაჟში გათამაშებულია ერთი მილიონი მოგება საერთო ჯამით 164.920.000 მანეთის რაოდენობით.

ყველაზე დიდი მოგება **3.000** მანეთი ხვდა **19218** სერიის ობლიგაციებს № 45-ს სესხის წაუგებელი გამოშვების ყველა 200 თანრიგში. ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენმა 49 ნომერმა მოიგო 150 მანეთი თვითეულმა.

მოგებას გაანაღდებენ შემნახველი სალაროები ოფიციალური ცხრილების მიხედვით, რომლებიც ქვეყნდება შემდეგ გაზეთებში: „პრავდაში“, „იზვესტიაში“, „ტრუდში“ და „ეკონომიჩესკაია ჟიზნში“, აგრეთვე იმ ოფიციალური ცხრილების მიხედვით, რომელთაც გამოსცემს შრომის სახელმწიფო შემნახველ სალაროთა და სახელმწიფო კრედიტის მთავარი სამმართველო.

ესპანეთის ფრონტებზე

(სსრკ დეპ. სააგენტოს ცნობების მიხედვით)

ბისკაის ფრონტი

თანახმად ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობისა, რომელიც 25 მაისს გამოქვეყნდა, რესპუბლიკელებმა მოიგერიეს მეამბოხეთა იერიში. მოწინააღმდეგის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ფრონტიდან მოშორებით მდებარე რამდენიმე სოფელს. მოკლულია სამი კაცი.

როგორც ჰავასის სააგენტო ბილბაოდან იუწყება, დიმის სექტორში მეამბოხეებმა დაიკავეს რამდენიმე პოზიცია, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ისინი. მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი ნახა. რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს მონარქისტული დროშა.

თანახმად ოფიციალური ცნობისა, რომელიც 25 მაისს 22 საათზე გამოქვეყნდა მადრიდში, ბილბაოს თავზე გამართული საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოაგდეს მეამბოხეთა ერთი თვითმფრინავი. ჩამოვარდა რესპუბლიკელთა ერთი თვითმფრინავი, მფრინავმა პარაშუტით გადაირჩინა თავი.

ასტურიის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს 25 მაისის ცნობის თანახმად, ოვიედოში ინტენსიური სროლაა. რესპუბლიკელთა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა სან-პედროს ეკლესიის მახლობლად თავმოყრილ მეამბოხეებს.

ლეონის სექტორში რესპუბლიკელებმა მოიგერიეს მეამბოხეთა იერიში და დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს.

ცენტრალური ფრონტი

საუნივერსიტეტო უბანში რესპუბლიკელთა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა კლინიკურ ჰოსპიტალს და სანტა-კრისტინას თავშესაფარს. ყუმბარების დაშენამ დიდი ზარალი მიაყენა მეამბოხეებს.

სომოსიერის სექტორში მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს რესპუბლიკელთა პოზიციებზე. ისინი ახლო მანძილზე მიუშვეს და დაუშინეს ტყვიამფრქვევები და მორტირები, რის შემდეგ მეამბოხეებმა უკან დაიხიეს დიდი ზარალით.

თანახმად ოფიციალური ცნობისა, რომელიც მადრიდში გამოქვეყნდა, მოწინააღმდეგის არტილერია 25 მაისს დილით ყუმბარებს უშენდა მადრიდს. არის მსხვერპლი. რესპუბლიკელთა მხარეზე გადმოვიდა მეამბოხეთა 26 ჯარისკაცი.

რესპუბლიკელთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ხადრაკის რკინიგზის სადგურს (გვადალახარის სექტორი).

სამხრეთის ფრონტი

ჰავასის სააგენტოს გადმოცემით, 25 მაისის წინა ღამით მოწინააღმდეგის რამდენიმე თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა ალმერიას. ერთი ყუმბარა მოხვდა ინგლისის სავაჭრო გემს. გემის კორპუსი დაზიანდა. იგი დაიღუპებოდა, რომ დაუყოვნებლივ არ გამოეყენებინათ მძლავრი პომპები.

ბოლო მოეღოს იტალია-გერმანიის ინტერვენციას ესპანეთში

ჟენევა, 26 მაისი. (საქდესი). დღეს დილით ერთა ლიგის საბჭოს თავმჯდომარემ მიიღო დელეგაცია საერთაშორისო მოძრაობისა მშვიდობიანობისათვის. დელეგაციამ თავმჯდომარეს წარუდგინა ყველა ქვეყნის მრავალი ორგანიზაციის საპროტესტო რეზოლუციები საერთაშორისო სამართლის განუწყვეტელ დარღვევათა წინააღმდეგ ესპანეთის მიმართ. რეზოლუციებში მოითხოვენ, რათა ერთა ლიგამ ხელი მოჰკიდოს ესპანეთის საკითხს. დელეგაციის აზრით, ერთა ლიგამ ბოლო უნდა მოუღოს იტალია-გერმანიის ინტერვენციას ესპანეთში და დაიცვას ესპანეთის ხალხი ერთა ლიგის წესდების შესაბამისად.

გერმანიის ავიაცია ანგრევს ბასკთა ქვეყანას

ლონდონი, 26 მაისი (საქდესი). ლონდონიდან ბილბაოში ჩავიდა არაოფიციალური კომისია გერნიკის დანგრევის გარემოებათა გამოსაძიებლად. კომისიის წევრმა, ინგლისის ავიაციის სამინისტროს აეროდინამიკურ გამოკვლევათა დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა მაკ კინონ ვუდმა კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა:

„ყველა საბუთი მოწმობს, რომ ის ყუმბარები და თვითმფრინავები, რომლებიც ბასკთა ქვეყანას ანგრევენ, მხოლოდდამხოლოდ გერმანიისაა. ფოტოსურათებმა და მნახველთა ჩვენებებმა დამარწმუნეს, რომ გერნიკას ყუმბარები გერმანელმა მფრინავებმა დაუშინეს“.

ფაშისტთა ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს საფრანგეთის საფოსტო-სამგზავრო თვითმფრინავი

ბილბაო, 26 მაისი (საქდესი). დღეს დილით ფაშისტთა ავიაგამანადგურებლების ესკადრილიამ ჩამოაგდო საფრანგეთის საზოგადოების „ერ პირენეს“ თვითმფრინავი, რომელიც რეგულარულად დაფრინავდა ბაიონსა და ბილბაოს შორის. თვითმფრინავი ჩამოვარდა რესპუბლიკელთა ტერიტორიაზე, სოფელ სოპელიანის მახლობლად. მფრინავი დაშავდა.

◇

საბჭოთა საზღვრის დარღვევა იაპონელ-მანჯურთა რაზმის მიერ

ხაბაროვსკი, 26 მაისი (საქდესი). აქ ესესაა მიღებულია ცნობები იაპონელ-მანჯურთა შეიარაღებული რაზმის მიერ საზღვრის ახალი თავხედური დარღვევის შესახებ. დღეს, 13 საათსა და 15 წუთზე, 4 წითელარმიელისაგან შემდგარ მესაზღვრე რაზმს, რომელიც იმყოფებოდა სსრ კავშირის ტერიტორიაზე, № 18 სასაზღვრო ნიშნის რაიონში, გროდეკოვოს სამხრეთ-დასავლეთით, საზღვრიდან ნახევარ კილომეტრზე უფრო დაშორებით, 50 მეტრის დისტანციიდან თოფებისა და ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხა 50 კაცისაგან შემდგარმა იაპონელ-მანჯურთა რაზმმა. ეს რაზმი შემოიჭრა სსრ კავშირის ტერიტორიაზე და ცდილობდა გარშემორტყმოდა ჩვენს მესაზღვრეებს და ხელთ ეგდო ისინი. ენერგიული წინააღმდეგობის გაწევის შედეგად, შემოჭრილნი, მიუხედავად მათი რიცხობრივი სიჭარბისა, უკუქცეულ იქნენ მანჯურიის ტერიტორიისაკენ. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ამ თავხედურ „ოპერაციას“ ზურგს უმაგრებდა დაახლოვებით 50 კაცისაგან შემდგარი იაპონელ-მანჯურთა რაზმი, რომელმაც დაიკავა პოზიცია ზედ საზღვარზე და სროლა აუტეხა არა მარტო დასახელებულ ჩვენს მესაზღვრე რაზმს, არამედ მეორე რაზმსაც. ამ უკანასკნელმა, რომელიც პირველ რაზმს დაახლოვებით ერთი კილომეტრით იყო დაშორებული, სროლის ხმაზე გასწია საზღვრისკენ, მაგრამ ვერ მოასწრო სროლაში მონაწილეობის მიღება. სროლა გრძელდებოდა დაახლოვებით 15 წუთს. შეტაკების ადგილზე, საბჭოთა ტერიტორიაზე, ჩვენმა მესაზღვრეებმა აკრიფეს მრავალი იაპონური საბრძოლო ვაზნა და სავაზნე.

○ ◇ ○

ერთა ლიგის საგანგებო პლენუმი

ჟენევა, 26 მაისი. (საქდესი). დღეს გაიხსნა ერთა ლიგის საგანგებო პლენუმი, რომელსაც დროებით თავმჯდომარეობს კევედო (ეკვადორი). პლენუმს ესწრება 50 სახელმწიფოს წარმომადგენელი.

სამანდატო კომისიის მოხსენების გამო, პოლონეთის დელეგატმა კომარნიცკიმ გააკეთა განცხადება, რომლის აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ თუ ერთა ლიგის სესიაზე მოვიდოდა აბისინიის დელეგაცია მისი მანდატები არ დაემტკიცებინათ.

ამრიგად, პოლონეთის მთავრობამ გააკეთა მორიგი ჟესტი ფაშისტთა ბლოკის—გერმანიისა და იტალიის არამყოფი წარმომადგენლების სასარგებლოდ.

მექსიკის დელეგატმა ფაბელამ დაუყოვნებლივ აიღო სიტყვა განცხადებისათვის და სთქვა:

„მექსიკა გადაჭრით წინააღმდეგია ყოველნაირი განზრახვისა მომზადდეს ნიადაგი ერთა ლიგის წევრ სახელმწიფოს გასარიცხავად ლიგის შემადგენლობიდან“. კომარნიცკის მიერ აღძრულ საკითხზე კამათი არ გახსნილა.

შემდეგ დამტკიცებულ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება და საიდუმლო კენჭისყრით პლენუმის თავმჯდომარედ აირჩიეს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტეფიკ რუშთუ არასი. არასის წინადადებით, დამტკიცებულია პლენუმის შემდეგი დღის წესრიგი: 1) ეგვიპტის მიღება ერთა ლიგაში, 2) ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის ერთი წევრის არჩევა. შემდეგ სხდომა შეწყდა საღამომდე.

მოზამთრეთა ჯგუფი ჩრდილოეთ პოლუსზე. (მარცხნიდან-მარჯვნივ): ამხანაგები: კრენკელი, პაპანინი, ფედოროვი და შირშოვი მოსკოვში ცენტრალურ აეროდრომზე გაფრენის წინ.

ფოტო „სოიუზფოტოსი“

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველო—იანსონს

ჩრდილოეთის პოლუსი, 26 მაისი, 19 საათი და 30 წუთი (რადიო). როგორც დიქსონის ცნობიდან მოგეხსენებათ, განმარტოების კუნძული ისმენდა რკ-ს (რკ—პირობითი ნიშანია მაზურუკის თვითმფრინავისა) 5 საათსა და 30 წუთზე და 5 საათსა და 43 წუთზე. მაშასადამე, მაზურუკი უკვე პოლუსის რაიონშია და მასთან, როგორც იგი იუწყებოდა, „ყველაფერი რიგზეა“.

ეჭვი არ მეპარება, რომ თვითმფრინავი ისევე კარგად დაეშვა, როგორც რა (რა—პირობითი ნიშანია ალექსეევის თვითმფრინავისა), ჰყავდა რა ისეთი ნიჭიერი და გამოცდილი წამყვანები, როგორიც არიან მაზურუკი და ამ გადაფრენაში მასთან მყოფი კოზლოვი. როგორც ჩანს, მათ არ აქვთ მოგვარებული რადიომუშაობა, ვინაიდან ჰყავთ არა სპეციალური რადისტი, არამედ მხოლოდ შტურმან-რადისტი, რაც ერთი და იგივე არ არის.

ამჟამად პოლუსის მთელ რაიონში პურგაა, ფრენა შეუძლებელია. ალექსეევის მოფრენაც კი გადაიდო. დამშვიდებით დაველოდებით. როდესაც გამოიდარებს, მაშინ, ალექსეევის მოფრენის შემდეგ, ყველა თვითმფრინავით დავძებნით სამკუთხედს პოლუსსა, დასავლეთის გრძედის 60 გრადუსსა, აღმოსავლეთ გრძედის 70 გრადუსსა და განედის 80 გრადუსსა და 30 წუთს შორის. ეჭვი არ მეპარება, რომ ვიპოვით, თუმცა შეიძლება არა ერთბაშად.

შმიდტი

მფრინავი მაზურუკი დაეშვა პოლუსს იქით

თვითმფრინავი უვნებელია, ეკიპაჟი ჯანსაღად არის.

მოსკოვი, 27 მაისი (საქდესი). იმ რადიოგრამებიდან, რომლებიც ჩრდილოეთის პოლუსიდან ო. ი. შმიდტისაგან მიიღო ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარმა სამმართველომ, შემდეგი ჩანს:

26 მაისს, 3 საათსა და 43 წუთზე, როდესაც საჰაერო ესკადრა პოლუსისაკენ მიდიოდა, განმარტოების კუნძულზე მაზურუკის თვითმფრინავიდან მიღებულ იქნა რადიოგრამა, რომელშიც იტყობინებოდნენ „ყველაფერი რიგზეაო“.

26 მაისს, ნაშუადღევს, პოლუსის რაიონში პურგა ამოვარდა. გაფრენა შეუძლებელი იყო. გადაიდო ალექსეევის მიფრენა მოდრეიფე ყინულზე არსებულ ბანაკთან, სადაც არის ვოდოპიანოვისა და მოლოკოვის თვითმფრინავები.

27 მაისს, 5 საათსა და 20 წუთზე, ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოში დიქსონის კუნძულის რადიოცენტრის გამგის ამხ. მიხაილოვისაგან მიღებულ იქნა შემდეგი რადიოგრამა:

„ჩელუსკინის კონცხმა 4 საათსა და 25 წუთზე მიიღო შემდეგი რადიოგრამა: „დიქსონს — რკ-დან (მაზურუკის თვითმფრინავის რადიო სადგურის გამოსაწვევი სიგნალები). გვიპასუხეთ 1450 მეტრიან ტალღაზე. თვითმფრინავი და ეკიპაჟი უვნებელია. მოგვეცით პელენგი, დაწყებული 5 საათიდან მოსკოვის დროით“.

რკ მუშაობდა 73 ტალღაზე, 3-4 ბალიანი სმენადობა ნულამდე ჩამოდიოდა. ვაწარმოებთ გამოძახებას 1450 მეტრიან ტალღაზე. ვუსმენთ ჩელუსკინის კონცხთან ერთად. 5 საათზე მოგცემთ პელენგს. მიხაილოვი“.

27 მაისს 7 საათზე ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველომ დიქსონიდან მიიღო ახალი მოხსენება, რომელიც ადასტურებს, რომ აღმოჩენილია მაზურუკის თვითმფრინავი. დიქსონის რადიოცენტრის გამგის ცნობაში მოყვანილია მაზურუკის შემდეგი რადიოგრამა, გამოგზავნილი 6 საათსა და 34 წუთზე:

„გვესმის. ვზივართ პოლუსს იქით უფქურის ზონაში. განედი 89 გრადუსი და 30 წუთი, დასავლეთის გრძედი — 100 გრადუსი. თვითმფრინავი რიგზეა. ეკიპაჟი ჯანსაღად არის. ვამზადებთ აეროდრომს. ყინული მაგარია. გთხოვთ მოახსენოთ ექსპედიციის უფროსს, ველით განკარგულებას. გისმენთ დღეს 7 საათზე მოსკოვის დროით, მოკლე ტალღებზე 33,4. აკუმულატორებმა დაიწიეს. მიღებას გრძელ ტალღებზე ხვალ მოვაწყობთ. გვაცნობეთ, სად არიან სხვა ხომალდები. რკ-მაზურუკი“.

მაზურუკის თვითმფრინავის ეკიპაჟს დიდძალი სურსათი მოეპოვება. საკუთარ მარაგს გარდა, თვითმფრინავზე არის 1.200 კილოგრამი სურსათი, რომელიც ეკუთვნის მოდრეიფე სადგურს. ფიქრობენ, რომ მანქანაზე დარჩა 5000 ლიტრზე მეტი ბენზინი და 900 კილოგრამი ნავთი, (რომელიც აგრეთვე ეკუთვნის სადგურს).

გუშინ დაზამთრების ადგილ „ჩრდილოეთის პოლუსზე“

უამინდობა აფერხებს ალექსეევის გადაფრენას პოლუსიდან ბანაკში

ჩრდილოეთის პოლუსი, 26 მაისი (საქდესი). (რადიო ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან). დღეს ჩვენთან უდიდესი სიხარულია: ყინულოვან ბანაკში ჩრდილოეთის პოლუსზე მოფრინდა ვ. ს. მოლოკოვის თვითმფრინავი. მისი მანქანა „სსსრ ნ—171“ დგას ყინულზე მ. ვ. ვოდოპიანოვის თვითმფრინავის გვერდით. პილოტ ორლოვთან და ფლაგ-შტურმან რიტსლანდთან ერთად ვასილ სერგეის-ძემ ისევე მტკიცედ გაატარა თავისი ხომალდი პოლუსზე, როგორც ხუთი დღის წინათ ექსპედიციის საფრენოსნო ნაწილის მეთაურმა ვოდოპიანოვმა ბაბუშკინთან და სპირინთან ერთად.

ჩვენი ქვეყნის ორი შესანიშნავი პილოტის სასიხარულო შეხვედრა არაჩვეულებრივ პირობებში მოხდა. აეროდრომს წარმოადგენდა უზარმაზარი ყინულის მინდორი. „საფრენოსნო მოედანი“ ძლიერად იყო განათებული მზის სხივებით და ბრილიანტის ათას ნაპერწკლებად ელვარებდა. თოვლის კედლებით შემოღობილი კარვები ექსპედიციისა თავისი გარეგანი სახით მოგვაგონებდა საბავშვო „ციხე-სიმაგრეებს“, რომლებიდანაც მოსკოველი ბავშვები ასეთი გატაცებით უშენენ ერთმანეთს თოვლის გუნდებს.

ექსპედიციის მეორე ხომალდის მოფრენით პოლუსის მოსახლეობა თითქმის გაორკეცდა. მოლოკოვს გარდა, თვითმფრინავ „სსსრ ნ-171“-ით მოფრინდნენ მეორე პილოტი ორლოვი, შტურმანი რიტსლანდი, ბორტ-რადისტი სტრომილოვი, პირველი მექანიკოსი ივანშინა, მეორე მექანიკოსები გუტოვსკი და ფრუტეცკი, ექსპედიციის უფროსის მოადგილე შეველიოვი და „პრავდის“ კორესპონდენტი ბრონტმანი. ამჟამად ყინულოვან ბანაკში 22 კაცი იმყოფება.

ახლა 13 საათი და 30 წუთია. როგორც ირკვევა, პილოტ ალექსეევის თვითმფრინავი „სსსრ ნ—172“ დაეშვა ჩვენი ბანაკიდან 50—60 კილომეტრის დაშორებით. მას ყველაფერი რიგზე აქვს. ალექსეევს განზრახული აქვს გადმოფრინდეს ჩვენთან ორ საათზე ნაკლები ხნის შემდეგ. მაზურუკისაგან ჯერჯერობით ცნობები არ არის. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი რაცია რიგიანად არ მუშაობს. ყოველ შემთხვევაში, არცერთ ჩვენგანს არ აქვს საფუძველი შეშფოთებისათვის: მაზურუკი და მისი მეორე პილოტი კოზლოვიც ძალიან გამოცდილი პოლარელი მფრინავები არიან.

მ. ტროიანოვსკი
(„იზვესტია“).

გამოხმაურება საზღვარგარეთ საბჭოთა პოლარელების შესანიშნავი გამარჯვების გამო

სსრ კავშირი—პროგრესის მძლავრი დასაყრდენია

ვალენსია, 26 მაისი. (საკ. დეპ. სააგენტოს სპეც. კორ.). (საქდესი). კომუნისტური ორგანო „ფრენტე როხო“ პოლარული ექსპედიციისადმი მიძღვნილ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მთელი კაცობრიობის პროგრესის მძლავრ დასაყრდენს. მარტო საბჭოთა კავშირს მოეპოვება ადამიანებისა და ტექნიკის იმდენი სრულქმნილი მასალა და ყველა აუცილებელი საშუალება, რომ დაისახოს და გადაჭრას უძნელესი მეცნიერული ამოცანები, რომელთა გადაჭრას საბჭოების ქვეყნის გარდა ვერავინ შესძლებს.

გამოძახილი მამაც საბჭოთა პოლარელების გამარჯვებაზე

ვალენსია, 26 მაისი. (საკ. დეპ. სააგენტოს სპეც. კორ.). (საქდესი). საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორმა რიოხომ, საბჭოთა პოლარელების ჩრდილოეთ პოლუსზე დაშვებასთან დაკავშირებით, განაცხადა:

„ყველა, ვინც ესპანეთში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ხაზით მუშაობს, საბჭოთა პოლარულ ექსპედიციას თვალყურს ადევნებს არა მარტო ინტერესით, არამედ ნამდვილი აღელვებითაც. ეს გამარჯვება იმ ყურადღების ახალი დამამტკიცებელი საბუთია, რომელიც ექცევა მეცნიერულ საკითხებს საბჭოთა კავშირში და რომელიც ცნობილია ყველასათვის, ვინც თვალს ადევნებს სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაციასა და განვითარებას საბჭოთა კავშირში.

ზღვისა და მისი ფაუნის შემსწავლელთათვის საბჭოთა ბუნებისმეტყველთა მუშაობის თვალყურის დევნება წარმოადგენს განსაკუთრებულ ინტერესს. ზღვის დინებანი, განსაკუთრებით პოლარულ დინებათა წარმოშობა და მიმართულება, და მცურავი ყინულების წარმოშობა —ყველა ეს საკითხი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ოკეანოგრაფიაც და იხტიოლოგიაც, უეჭველად, გამდიდრდება ექსპედიციით.

ვუსურვოთ მას, რომ მისმა მეცნიერულმა მიღწევებმა გაამართლონ ყველა იმედი“.

დიადი სოციალისტური ქვეყნის ბრწყინვალე გამარჯვება

ვალენსია, 25 მაისი. (საქდესი). სოციალისტური პარტიის ორგანომ „ადელანტემ“ მოათავსა სტატია, რომელსაც უძღვნის მამაც საბჭოთა პოლარელების გამარჯვებას. „საბჭოთა კავშირის წითელი დროშა დღეს ფრიალებს დედამიწის შორეულ ჩრდილოეთის წერტილზე,— სწერს გაზეთი.—ეს დიადი სოციალისტური ქვეყნის ბრწყინვალე გამარჯვებაა!“

მსოფლიოს პირველმა დიდმა სოციალისტურმა ხალხმა, აცხადებს გაზეთი, დააგროვა სამეცნიერო ექსპედიციათა წინანდელი გამოცდილება და გაითვალისწინა ყველა ტექნიკური მიღწევანი, რათა პოლუსის დაპყრობა მოემზადებინა თანმიმდევრულად, დარწმუნებით და უშეცდომოდ.

„ცივილიზაციის, პროგრესის ახალი გზების აღმოჩენა—დიდი საბჭოთა ხალხის დანიშნულებაა“,—ხაზგასმით აღნიშნავს „ადელანტე“.

მესამე ხუთწლედის საკითხების განხილვა

აგურის მრეწველობა მესამე ხუთწლედში

მესამე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის კაპიტალურმა მშენებლობამ უნდა მიიღოს იაფი და კარგი ხარისხის აგური. საქართველოს აგურის ყველა ქარხანამ, რომელთაც ჰოფმანის სისტემის ღუმელები აქვთ, უნდა მიაღწიოს საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ დაწესებული ღუმელის ტექნიკურ ნორმის ათვისებას — ერთი კუბურ მეტრზე თვეში 1.150 ცალი წითელი აგურის მიღებას. ზოგიერთ ქარხანაში ეს ნორმა უნდა გადიდდეს.

მტკიცდება, რომ ხელით დაყალიბებული აგური ნაკლები ხარისხისაა. ამიტომ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს იმ ქარხნების მექანიზაცია, სადაც ჰოფმანის სისტემის ღუმელებია. ასეთია გურჯაანის, ხაშურის, ზუგდიდის, ლანჩხუთისა და სამტრედიის ქარხნები.

ამ ქარხნებში უნდა მოეწყოს შინასაქარხნო ტრანსპორტი და საშრობი ფარდულები, რაც ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად მოსპობს მუშაობის მძიმე პირობებს (ფეხით თიხის მოზელას, აგურის ხელით დაყალიბებას და სხვ.). იმავე მიზნით ზოგ დიდ რაიონში, სადაც დიდი საველე ღუმელებია, მიზანშეწონილი იქნება თიხის საზელების მოწყობა, რაც დიდ კაპიტალურ დაბანდებას არ გამოიწვევს. ამასთან ზოგი საველე ღუმელი გადაყვანილ უნდა იქნას მაგარ სათბობზე—ქვანახშირზე.

აგურის წარმოების სუსტ ადგილს ალიზის შრობა წარმოადგენს. მაგალითად წვიმიან დღეებში ნოსირის აგურის ქარხანაში აგურის გაშრობას 20-30 დღე უნდება, დარგობლივი კონფერენციის მიერ კი დამტკიცებულია 10-15 დღე. ასეთივე მდგომარეობაა აგურის სხვა ქარხნებშიაც. ამიტომ მესამე ხუთწლედის გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნას აგურის ქარხნების გადაყვანა მშრალად დაყალიბებაზე. მშრალად დაყალიბებული აგური მოჭრისთანავე მიდის ღუმელში გამოსაწვავად. საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქარხანაში უკვე შემოღებულია აგურის მშრალი დაყალიბება „შვენგლერის" სისტემის დაზგით (პრესი).

რა უპირატესობა აქვს მშრალად დაყალიბებას? ის, რომ ქარხანა მთელ წელიწადს იმუშავებს, მოისპობა სეზონურობა მუშაობაში, მოიხსნება ზედმეტი შინა-საქარხნო ტრანსპორტი, რითაც მუშახელიც შემცირდება.

მშრალად დამყალიბებელი ქარხნის უარყოფით მხარედ ითვლება ის, რომ მისი აგება შედარებით ძვირი ჯდება, მოწყობილობათა სირთულის გამო. მაგრამ მშრალი წნეხვის დიდ უპირატესობას შეადგენს აგურის მაღალი ხარისხი და მცირე თვითღირებულება. მშრალად დაყალიბებული 1.000 ცალი აგურის თვითღირებულება პროექტით უდრის 50-55 მანეთს, ხოლო ნედლად დაყალიბებული კი 100 მანეთზე მეტი ჯდება.

მე-3 ხუთწლედში თბილისში უნდა აიგოს მშრალად დამყალიბებელი 2 ახალი ქარხანა ოც-ოცი მილიონი ცალი აგურის წარმადობით წელიწადში — ერთი ღრმა-ღელეში, მეორე — კი საბურთალოში ან დიღომში.

მესამე ხუთწლედში მშრალ წნეხვაზე გადაყვანილ უნდა იქნას ნოსირის აგურის ქარხანაც. აქ თიხის დიდი მარაგია, და ჰავის მეტი სინესტის გამო საჭიროებს მშრალ წნეხვას. უნდა აიგოს ახალი ქარხანა 14 მილიონი ცალი აგურის წარმადობით ქუთაისში.

რაიონების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად უნდა აიგოს სველი წნეხვის პატარა წარმადობის სამი აგურის ქარხანა ფოთში, წულუკიძესა და თელავში.

ყველა აქ ჩამოთვლილ ღონისძიებათა გატარებით საქართველოში გამოშვებული წითელ აგურის რაოდენობა გაიზრდება 1937 წლის 106 მილიონიდან — 245 მილიონ ცალამდე (1942 წელს), ე. ი. თითქმის ორნახევარჯერ, თუ არ ვიანგარიშებთ სარეწაო კოოპერაციისა და სამშენებლო ორგანიზაციების დამხმარე წარმოებებს.

აკ. ვეფხვაძე

◇ ◇ ◇

კახეთის ფიქალი

სახურავ მასალათა შორის ფიქალი ერთერთი საუკეთესოა. ფიქალმა უახლოეს დროში ფართოდ უნდა შესცვალოს ისეთი დეფიციტური სახურავი მასალა, როგორიც არის თუნუქი, კრამიტი, „ეტერნიტი" და სხვ.

გარდა იმისა, რომ ფიქალი სხვა სახურავ მასალაზე უფრო იაფი ჯდება, მას სხვა ტექნიკური უპირატესობაც აქვს: მისი გამძლეობა 500 წელს აღემატება, იგი არ საჭიროებს რემონტს, კარგად უძლებს გარეგანი, ბუნებრივი ფაქტორების მოქმედებას; ფიქალის სახურავზე 10 სანტ. ზევით თოვლი არ ჩერდება, ფიქალის სახურავი თავისებური სილამაზისაა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1936 წლის დადგენილება გარკვევით მიუთითებს სამშენებლო ორგანიზაციებს სახურავ მასალად ფიქალის ფართოდ გამოყენებაზე. წელს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი კახეთის ფიქალის წარმოებისა და მისი გამოყენების გასაფართოვებლად. ამ მიზნით წელს კახეთის ფიქალის წარმოებაზე უნდა დაიხარჯოს 800 ათასი მანეთი, გასულ ორ წელს კი დაიხარჯა ორ მილიონ მანეთამდე.

მაგრამ ფიქალის, როგორც ახალი სახურავი მასალის, ფართოდ გამოყენებას ხელს უშლის ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაცია. მაგალითად, ფიქალის გამოყენებას თავიანთ სამშენებლო ობიექტებში უგულებელჰყოფენ „საქქარხმშენი" (ინჟ. ყანჩაველი), „თბილმშენი" (ინჟ. თევზაძე), „საქჩაის" ტექნიკური განყოფილება და სხვ. ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს „შეჩვეული ჭირი ურჩევნიათ შეუჩვეველ ლხინს", რის გამო თვეობით გადაუხურავი რჩებათ სამშენებლო ობიექტები დეფიციტურ, სახურავ მასალათა ძებნაში. ისინი თავს იმით იმართლებენ, თითქოს ჯერ არ იცნობდნენ ფიქალის უპირატესობას. მაგრამ ნუთუ ინჟინრები ყანჩელი და თევზაძე „ვერ იცნობენ" ფიქალს, რომელსაც ფართო გამოყენება აქვს დასავლეთ ევროპაში, სადაც ფიქალით გადახურულია ბევრი საუკეთესო ნაგებობა და მათ შორის ვერსალის სასახლეც.

ფიქალის დამტვრევის პროცენტის შესამცირებლად უფრო მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ფიქალის დახვრეტა ხდებოდეს ადგილობრივ, დამუშავების დროს, ვინაიდან სამშენებლო ობიექტთან მისი დახვრეტა დამტვრევის საგრძნობ პროცენტს იძლევა. გარდა ამისა, წარმოების ადგილზე ფიქლების დახვრეტის დროს მიღებული ნამტვრევი შეიძლება გამოყენებულ იქნას მცირე ზომის ფიქლების დასამზადებლად, შენებლობის ადგილზე კი ეს შეუძლებელია.

შ. აბულაძე.

საკვები ბაზის გაფართოება მესამე ხუთწლედში

საქ. კ.პ. (ბ) მეათე ყრილობაზე ამხ. ლავრენტი ბერიამ თავის შესანიშნავ მოხსენებაში ნათლად დასახა ჩვენი მესაქონლეობის განვითარების გზები და სხვა ღონისძიებათა შორის დიდი ყურადღება მიაქცია საქონლის საკვების ბაზას. „როგორც ცნობილია, — ამბობდა ამხ. ბერია, —მეცხოველეობის ძირითადი ბაზა საკვები რესურსების გაფართოება და განმტკიცებაა უნდა მოწესრიგდეს ბალახების მეთესლეობის საკითხი".

საქართველოს ტერიტორია 6.963.600 ჰექტარს უდრის. აქედან ბუნებრივ საძოვრებს უჭირავს 1.887.810 ჰექტ., ანუ მთელი ტერიტორიის 27,1 პროცენტი. ამ ბუნებრივი სათიბ-საძოვრების მოვლასა და გაუმჯობესებაზე ბევრადაა დამოკიდებული მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა. ცხადია, რაც უფრო მაღალხარისხოვანი იქნება თივისა და ბალახის მოსავალი, იმდენად უფრო სწრაფი ტემპით წავა მესაქონლეობის ზრდა. თავისი შესანიშნავი ალპური საძოვრებით საქართველო ერთი უმდიდრეს მხარედ ითვლება საბჭოთა კავშირში. საძოვრები მდიდარია ისეთი მაღალხარისხოვანი საკვები ბალახებით, როგორიცაა ტიმოთეს ბალახი, სათესი წივანა, მელაკუდა, სამყურა, ონჯა, კვლიავი და მრავალი სხვა. კერძოდ ტიმოთეს ბალახი, რომელიც ასხის მთიდან იქნა ჩამოტანილი, კულტურაში შეტანილი დღემდე ცნობილ ამერიკულ ჯიშებზე მეტ მოსავალს იძლევა. ასეთივეა ჩვენში გავრცელებული მრავალნაირი ესპარცეტი, ონჯა და სხვ.

წარსულში ჩვენი საძოვრების უწესრიგო ექსპლოატაციამ ეს ბუნებრივი ბალახები გაახრა. მთის მდელოთა ზედმეტმა გადატვირთვამ ისინი მრავალ ადგილას სრულიად გამოუყენებელი გახადა. თავისი ბუნებრივი პირობებით ჩვენს მდელოებს შეუძლიათ ჰექტარზე სეზონის განმავლობაში გამოჰკვებონ 5-7 ცხვარი. ცუდი ექსპლოატაციის გამო კი ამჟამად 1-2 ცხვარს ძლივს ჰკვებავენ. ზედმეტი დატვირთვით საძოვრები დასარეველიანდნენ, ნოყიერი და გამოსაყენებელი ბალახის ნაცვლად გაძლიერდნენ სარეველები და ისეთი ბალახები, რომელთაც საქონელი არ ეტანება.

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თბილისის ბოტანიკური ინსტიტუტის გეობოტანიკური განყოფილება უკვე 4-5 წელია მუშაობს ჩვენი სათიბ-საძოვრების კვლევაზე. ამ ხნის განმავლობაში შევძელით ძირითადად შეგვესწავლა ჩვენი მაღალი მთების საძოვრები. მაგრამ კმარა ეს თუ არა? რასაკვირველია, არა. შემდეგმა მუშაობამ უნდა მოგვცეს ის გზები და მეთოდები, რომლის საშუალებითაც შეიძლება ამ საძოვართა და სათიბთა გაუმჯობესება. მესამე ხუთწლედში ბოტანიკური ინსტიტუტის გეობოტანიკურმა განყოფილებამ ძირითადად ამ საკითხებზე უნდა იმუშაოს: უნდა შემუშავდეს და გადაწყდეს: მაღალი მთის საძოვრების განვითარების, ველური საკვები ბალახების კულტურაში გადმონერგვის და მათი ბიოლოგიის შესწავლის და ზამთრის საძოვრების გაუმჯობესების საკითხები.

დოც. ნ. კეცხოველი

მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის თბილისის ბოტანიკური ინსტიტუტის გეობოტანიკური განყოფილების გამგე.

ჩაის კულტურა მესამე ხუთწლედში

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე დასავლეთ საქართველოში თითქმის არცერთ კულტურას არ განუცდია ისეთი სწრაფი ზრდა, როგორიც ჩაის კულტურამ განიცადა. 1926 წლის დასასრულს საქართველოში ჩაი მხოლოდ 1.127 ჰექტარზე იყო გაშენებული, ახლა კი მას 39.941 ჰექტარი უჭირავს, ხოლო 1937 წლის ბოლოს ეს ფართობი 42.486 ჰექტარს მიაღწევს.

ფართობის ზრდასთან ერთად ამ ხნის განმავლობაში თვალსაჩინოდ გადიდდა ჩაის მოსავალიც.

პირველ ხუთწლედში საქართველოში 23.065 ჰექტარი ჩაის პლანტაცია გაშენდა, მეორე ხუთწლედში — 18.295, მესამე ხუთწლედში კი გაშენდება 12.514 ჰექტარი, რის შემდეგ ჩაის პლანტაციების საერთო რაოდენობა 55.000 ჰექტარს მიაღწევს. 1942 წელს საქართველოში მოიკრიფება სულ 70.819.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ სამჯერ და კიდევ უფრო მეტი იმაზე რაც გეგმით წელს არის გათვალისწინებული.

როგორც ვხედავთ, მესამე ხუთწლედში მეტად სერიოზულად ისმება ჩაის მოსავლიანობის გადიდების საკითხი. ჰექტარიდან საშუალოდ 2.500—3.000 კილოგრამი მოსავლის მიღების ამოცანა ჩვენგან მოითხოვს უკეთესად მუშაობას, არსებული რესურსების მთლიანად ათვისებას და კადრების ისეთი მასშტაბით მომზადებას, რომ სუბტროპიკული, ზონის თვითეული კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობის მუშა ყოველმხრივ დაუფლებული იყოს თავისი საქმის ტექნიკას.

ჩაის პლანტაციებში წელს ჩვენ შეგვაქვს 33.610 ტონა მინერალური სასუქი. მესამე ხუთწლედის ბოლოს კი შეტანილი იქნება 65.840 ტონა. სიდერატების ნათესთა რაოდენობა 3.000 ჰექტარიდან გაიზრდება 7.000 ჰექტარამდე. მწვანე სასუქისათვის ფართოდ იქნება გამოყენებული ხანჭკოლა, სერადელა და სხვა ისეთი მცენარეები, რომლებიც ჩაის პლანტაციებში დააგროვებენ მეტ აზოტს.

ჩაის თითქმის ყველა რაიონში მოიპოვება ტორფის დიდი მარაგი, რაც ჩაის პლანტაციების გასანოყიერებლად საუკეთესო ორგანიულ სასუქს წარმოადგენს; მესამე ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნას ტორფის ამ მარაგის ფართოდ გამოყენების საკითხი.

ჩაის კულტურის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა უნდა შესრულდეს მასების ფართო მონაწილეობით. კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და ჩაის სპეციალისტებმა უნდა წამოაყენონ თავიანთი წინადადებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჩაის მეურნეობას წინაშე მდგარი ამოცანების ბრწყინვალედ შესრულებას, უზრუნველჰყოფენ საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობას ჩაის მხრივ და კიდევ უფრო წინ წასწევენ კოლმეურნეთა კეთილდღეობას.

აფ. ჯიბუტი.

მიწსახკომის სუბტროპიკული სამმართველოს უფროსი.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის წამკითხავი ამხ. ოსიპოვი უკითხავს მუშებს ამხ. ლ. ბერიის მოხსენებას საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ლაბეს სიტყვა პარიზის საერთაშორისო გამოფენის საბჭოთა პავილიონის გახსნაზე

პარიზი, 26 მაისი (საქდესი). გუშინ საერთაშორისო გამოფენის საბჭოთა პავილიონის გახსნაზე ამხ. ი. ი. მეჟლაუკის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა საერთაშორისო გამოფენის გენერალურმა კომისარმა ლაბემ.

— 1937 წელი, განაცხადა ლაბემ, საბჭოთა კავშირისათვის წარმოადგენს შესანიშნავ წელს, ვინაიდან ამ წელიწადში სრულდება ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავი და საბჭოთა ახალი კონსტიტუციის პირველი წლისთავი.

პარიზის საერთაშორისო გამოფენა, განაგრძობდა ლაბე, საშუალებას აძლევს საბჭოთა კავშირს მთელი მსოფლიოს ხალხებს დაანახვოს, რომ 20 წლის პერიოდის განმავლობაში საბჭოთა კავშირის პრინციპების განხორციელების შედეგად წინანდელი ჩამორჩენილი ქვეყნიდან შექმნილია პირველხარისხოვანი სამრეწველო და აგრარული სახელმწიფო, რომელშიაც შრომა დაყენებულია ხალხის კეთილდღეობის სამსახურში. შემდეგ ლაბემ აღნიშნა, რომ საერთაშორისო გამოფენაზე საბჭოთა მთავრობა საჭიროდ სთვლიდა, უწინარეს ყოვლისა, ეჩვენებინა, თუ როგორ „ემსახურება ხელოვნება და ტექნიკა მშრომელებს იმ ქვეყანაში, სადაც ხელოვნება გარემოსილია მოსახლეობის ყველა ფენის სიყვარულით".

ილაპარაკა რა საბჭოთა პავილიონის სკულპტურულ ჯგუფზე, რომელიც გამოხატავს მუშასა და კოლმეურნე ქალს, ლაბემ აღნიშნა, რომ ამ ქანდაკებას აქვს არა მარტო სიმბოლიური ხასიათი, არამედ წარმოადგენს ხელოვნებისა და ტექნიკის კავშირის-მჭევრმეტყველურ დემონსტრაციასაც. თვით ქანდაკება, სთქვა ლაბემ, აშკარად მოწმობს განვითარების იმ მაღალ დონეს, რომელსაც მიაღწიეს ხელოვნებამ და ტექნიკამ საბჭოების ქვეყანაში.

სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულმა საფრანგეთში ამხ. გირშფელდმა, უსურვა რა საუკეთესო წარმატება საერთაშორისო გამოფენას, რომელიც მოწყობილია საფრანგეთის მთავრობის ინიციატივით, განაცხადა: „მე ღირსეულს მივუზღავ რესპუბლიკის მთავრობას, რომელმაც შესძლო 44 ხალხის გაერთიანება ამ საქმის გარშემო. ისეთ ეპოქაში, როდესაც დამანგრეველ ძალთა საფრთხე ლიტონი სიტყვა არ არის, ყოველგვარი დემონსტრაცია, მიმართული პროგრესისაკენ, ერთმანეთის უკეთ გაგებისაკენ, ხალხებსა და ადამიანებს შორის მშვიდობიანი შეჯიბრებისაკენ და კულტურულ და ეკონომიურ დარგში მათი თანამშრომლობისაკენ, ემსახურება მხოლოდ მშვიდობიანობის საქმეს, რაც ასე ძლიერად სურთ მთელი დედამიწის ხალხის მასებს". ამხ. გირშფელდმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირი დიდის კმაყოფილებით გამოეხმაურა მიწვევას გამოფენაზე მონაწილეობის მიღების შესახებ, ვინაიდან ეს მიწვევა გამომდინარეობდა „იმ ქვეყნისაგან, რომელთანაც საბჭოთა კავშირი დაკავშირებულია მეგობრობის, მშვიდობიანობის სასარგებლოდ საერთო და აქტიური თანამშრომლობის ძაფებით, იმ ქვეყნისაგან, რომელიც, თუ როგორც ჩვენი ქვეყანა, მიდის განუყოფელი მშვიდობიანობის დამცველთა პირველ რიგებში, რაც ემყარება კოლექტიურ უშიშროებას ყველასათვის".

ცნობილმა მხატვარმა მაზერეელმა, რომელიც პავილიონის გახსნას დაესწრო, დიდებული დახასიათება მისცა მუშისა და კოლმეურნე ქალის სკულპტურულ ჯგუფს. დამსწრე სტუმრებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს პავილიონში გამოფენილი ექსპონატებისადმი.

გუშინ გამოფენაზე აგრეთვე გაიხსნა ბელგიის, იტალიის, დანიის, და ნორვეგიის პავილიონები.

◇ ◇ ◇

უცხოეთის ქრონიკა

○ 25 მაისს სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ჩინეთში ამხ. ბოგომოლოვმა საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის წყნაროკეანის ასოციაციისა და საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საერთო კრებაზე გააკეთა მოხსენება ახალი საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ.

○ კროიცლინგენში (შვეიცარია—გერმანიის საზღვრის მახლობლად) შვეიცარიის პოლიციამ აღმოაჩინა ფაშისტური ორგანიზაცია, რომელიც ეწეოდა ჯაშუშობას გერმანიის სასარგებლოდ. ამ ორგანიზაციის მეთაურობაში [illegible] ჰაუტიში.

◇

საგაზაფხულო თესვა

მიწსახკომის 26 მაისის ცნობებით

რაიონები	თესვა ყველა სექტორში: დათესილია ჰექტარობით	თესვა ყველა სექტორში: გეგმის შესრულება პროცენტ.	რაიონები	თესვა ყველა სექტორში: დათესილია ჰექტარობით	თესვა ყველა სექტორში: გეგმის შესრულება პროცენტ.
ახალქალაქი	32694	93,5	ვანი	10280	101,5
ბოგდანოვკა	20152	102,8	ბაღდათი	6658	104,9
ახალციხე	11768	95,0	ჯუღელი	9572	99,0
ადიგენი	8275	100,1	ჩხარი	9320	103,6
ასპინძა	9902	102,5	ჭიათურა	27734	98,0
ხაშური	24667	100,9	ორჯონიკიძე	10542	98,3
გორი	19887	96,2	ტყიბული	9444	102,7
კასპი	10167	100,9	ონი	6279	96,9
ბორჯომი	5575	92,5	ამბროლაური	8169	98,1
გურჯაანი	13143	99,8	ცაგერი	8839	101,8
სიღნაღი	24856	96,5	ქვემო-სვანეთი	2151	100,3
თელავი	16670	98,6	აბაშა	16627	98,1
ყვარელი	7048	93,8	ცხაკაია	16987	93,1
ლაგოდეხი	7887	81,5	გეგეჭკორი	15064	99,8
თბილისი	13450	103,6	ზუგდიდი	16399	93,1
ყარაია	3568	96,9	ხობი	10681	96,1
ბორჩალო	7108	85,0	წალენჯიხა	6814	98,6
ლუქსემბურგი	5102	95,1	ჩხოროწყუ	8748	91,7
წალკა	15270	69,4	მახარაძე	7635	99,9
დუშეთი	12139	101,7	ლანჩხუთი	9783	101,0
ალბულაღი	11244	99,7	ჩოხატაური	7031	98,8
საგარეჯო	13160	95,5	ზემო-სვანეთი	1833	87,5
ბაშკიჩეთი	8249	82,4	ფოთი	1245	105,2
თიანეთი	7484	89,0	აფხაზეთის ასსრ	53200	83,4
ყაზბეგი	805	52,6	აჭარის ასსრ	20196	95,1
ქუთაისი	26435	100,0	სამხრეთ ოსეთის ა. ო.	26955	98,6
სამტრედია	13728	101,0			
წულუკიძე	11010	101,0			
სულ რესპუბლიკაში	689084	95,2			

ქ. ი. მქუასელი

საქ. განათლების სახალხო კომისარი

სახალხო განათლება მესამე ხუთწლედში

იმ გიგანტურ გამარჯვებათა საფუძველზე, რომელიც ჩვენმა სამშობლომ მოიპოვა სახალხო მეურნეობის და კულტურის ყველა დარგში, ვამუშავებთ ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავების მესამე ბოლშევიკურ ხუთწლედს. მესამე ხუთწლედმა კულტურული აღმშენებლობის დარგში უნდა უზრუნველჰყოს არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლაზე გადასვლა, უმაღლესი სკოლების და მეცნიერულ დაწესებულებათა შემდგომი სწრაფი ზრდა-განვითარება, მთელი სასწავლო აღმზრდელობითი და მეცნიერული მუშაობის ხარისხის რადიკალური გაუმჯობესება, სკოლამდე აღზრდის შედარებითი ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია და სოციალისტური კულტურის შემდგომი გიგანტური აყვავება.

უდიდესი მიღწევების გვერდით ჩვენ გვაქვს ნაკლოვანებანიც, რომელნიც დაკვრითი წესით უნდა აღმოიფხვრას და მხედველობაში უნდა გვქონდეს მესამე ხუთწლედის გეგმის დამუშავებისას.

მეორე ხუთწლედის განხორციელების წინასწარი შედეგებიდან ირკვევა, რომ არ არის შესრულებული სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელის გაშლა კოლმეურნეობებში, სკოლამდელ დაწესებულებებში ჩაბმული არ არის 4—7 წლის ასაკის ბავშვთა საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული კონტინგენტი.

ჩვენს სკოლებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მოწაფეთა თავისით გაცხრილვასა და ორწლიანობას, მოწაფეთა თავისით გაცხრილვა 1935 წელს 13.77 პროცენტს უდრიდა. მართალია, 1936 წელს ეს პროცენტი 10.9-მდე შემცირდა, მაგრამ ასეთი შემცირება ჩვენ ოდნავადაც ვერ გვაკმაყოფილებს, მით უმეტეს, რომ ცალკე რაიონებში მოწაფეთა თავისით გაცხრილვის პროცენტი დიდია. მაგალითად, ტყიბულის რაიონის სკოლებში მოწაფეთა 27,6 პროცენტი, ბორჩალოსაში — 21,5, ბაშკიჩეთისაში — 22,7, სვანეთში — 24, აჭარაში — 11,5, აფხაზეთში — 9,8 პროცენტი კურსის დაუმთავრებლად სტოვებს სკოლას.

უდავოა, რომ მეორე ხუთწლედში სკოლის მუშაობის ხარისხი ძალიან სწრაფად უმჯობესდებოდა, მაგრამ თავისით გაცხრილვასა და ორწლიანობას, ჩვენი მუშაობის ამ დიდ ნაკლს, ჯერ კიდევ საკმაოდ აქვს გადგმული ფესვი.

დამაკმაყოფილებლად არ იყო დაყენებული მასწავლებელთა კადრების განაწილება და მათი მიზანშეწონილად გამოყენება. მეორე ხუთწლედის განმავლობაში პედაგოგიური ინსტიტუტები და ფაკულტეტები დაამთავრა 2226 კაცმა, მაგრამ პედაგოგიურ სამუშაოზე მხოლოდ მათი ნაწილია გამოყენებული.

პედაგოგიური სასწავლებლები დაამთავრა 9218 კაცმა, მაგრამ განათლების ორგანოების უხეირო მუშაობის გამო სკოლის გარეთ დარჩა მათი საგრძნობი ნაწილი. ამიტომ არის, რომ ჩვენს სკოლებში ჯერ კიდევ გვყავს დაბალი განათლების მქონე 2540 მასწავლებელი.

ჩვენს მუშაობას, მრავალი სხვა ნაკლიც ახლავს, რაც დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვს.

მესამე 5-წლედში სახალხო განათლების წინაშე უდიდესი ამოცანებია დასმული. საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 27 ივნისის დადგენილების თანახმად სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი და კონტინგენტი 1935 წელთან შედარებით 1939 წლის პირველი იანვრისათვის უნდა გასამკეცდეს, მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის კი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა 100 პროცენტი ქალაქად, ხოლო სოფლად 50 პროცენტი უნდა ჩავაბათ სკოლამდელ დაწესებულებებში. წელს, მეორე 5-წლედის უკანასკნელ წელს, საბავშვო ბაღებში ჩაბმულია ქალაქის ბავშვთა მოსახლეობის 74 და სოფლის — 11,5 პროცენტი.

დაწყებითი, არასრული და სრული საშუალო სკოლის მუშაობის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესება, სკოლის „ძირითადი ნაკლის" აღმოფხვრა, ჩვენი სკოლის — კომუნიზმის მშენებელი, ენერგიული, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანების აღმზრდელი ძირითადი რგოლის — შემდგომი გაძლიერება მთავარ ამოცანად რჩება მესამე 5-წლედშიც. მესამე 5-წლედში კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ დაწყებითი სკოლა. დაწყებითი სკოლის არსებული ქსელი აკმაყოფილებს საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი განათლების მოთხოვნილებებს. საჭიროა მხოლოდ მთლიანად ჩავაბათ სკოლებში სკოლის ასაკის ბავშვთა მოსახლეობა. ამის შედეგად 1942 წელს დაწყებითი სკოლის ბავშვთა კონტინგენტი მიაღწევს 509480-ს ნაცვლად 1937 წლის 478 ათასისა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახალხო განათლების მესამე 5-წლედის ერთერთი უმთავრესი ამოცანაა როგორც ქალაქად, ისე სოფლად, სავსებით გავატაროთ საყოველთაო სავალდებულო სწავლება, არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში. ამით შესრულებული იქნება ერთერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება შვიდწლიანი სავალდებულო სწავლების შესახებ. ამ მიზნით ქალაქებში 1938 წელს დაწყებითი სკოლადამთავრებულთა მთელი ასი პროცენტი უნდა მივიღოთ არასრული საშუალო სკოლის მე-5 კლასში. ხოლო სოფლად ეს ღონისძიება განხორციელდება 1942 წლისათვის.

არასრული საშუალო სკოლის ქსელი იმ ანგარიშით უნდა გავშალოთ, რომ ყველა სკოლა სავსებით უზრუნველყოფილ იქნას მატერიალური ბაზით, შესაფერისი შენობებით, მასწავლებლებით, მოწყობილობით, კაბინეტებით და ლაბორატორიებით.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელების შედეგად მე-5 კლასების მოწაფეთა რაოდენობა 1942 წლისათვის მიაღწევს ქალაქად 24.012-ს, ხოლო სოფლად 103.245-ს. არასრულ საშუალო სკოლაში (მე-5 — 7 კლასები) მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის გვეყოლება 354.360 მოსწავლე ნაცვლად 1937 წლის 190.182-ისა.

საგრძნობლად გაიზრდება საშუალო სკოლის ქსელიც. საშუალო სკოლების გახსნა იწარმოებს იმ ანგარიშით, რომ მესამე ხუთწლედის დასასრულში უზრუნველყოფილ იქნას საყოველთაო სავალდებულო სწავლებაზე გადასვლა საშუალო სკოლის ფარგლებში. ქალაქებსა და სამრეწველო ადგილებში კი მესამე ხუთწლედშივე უნდა გადაიდგას გადამწყვეტი ნაბიჯები ამ მიმართულებით.

ამ ადგილებში 1942 წლისათვის არასრული საშუალო სკოლების მთელი გამოშვება უნდა ჩავაბათ მე-8 კლასებში. ამას გამოაკლდებიან ის ახალგაზრდები, რომელნიც სპეციალურ ტექნიკუმებსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში განაგრძობენ სწავლას. მესამე 5-წლედის ბოლოსათვის სოფლად 7-წლედდამთავრებულთა 45 პროცენტი უნდა მივიღოთ მე-8 კლასებში.

ყველა ტიპის სკოლაში სასტიკი ბრძოლა უნდა გაიშალოს ისეთი სამარცხვინო მოვლენის აღმოსაფხვრელად, როგორიც არის მოწაფეთა თავისით გაცხრილვა და ორწლიანობა.

სახალხო განათლების მესამე 5-წლედის ამოცანაა ავამაღლოთ სკოლის მუშაობის ხარისხი, განვამტკიცოთ შეგნებული დისციპლინა, ავწიოთ მოწაფეთა მომზადების დონე, მაქსიმალურად გავზარდოთ ფრიადოსანთა რიცხვი, დავამყაროთ ნამდვილი ბოლშევიკური წესრიგი სკოლაში, აღვზარდოთ სკოლის წამყვანი ფიგურა — მასწავლებელი, ავამაღლოთ მისი კულტურული, პოლიტიკური და პედაგოგიური მომზადების დონე, მოსწავლეები და სკოლები სავსებით უზრუნველვყოთ სასწავლო ნივთებით, სახელმძღვანელოთა სრული კომპლექტით, კაბინეტებით, ლაბორატორიებით, ყველა აუცილებელი თვალსაჩინო ხელსაწყოებით, მეთოდური ხელმძღვანელობით. ყოველივე ეს იმ ანგარიშით უნდა გაკეთდეს, რომ მესამე 5-წლედის ბოლოსათვის ჩვენი სკოლა კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის მოთხოვნილებათა შესაფერისად მუშაობდეს.

სასკოლო და სკოლამდელ დაწესებულებათა გარდა მნიშვნელოვანი ამოცანებია დასმული კულტურული მშენებლობის სხვა დარგებშიც. საკმარისი არ არის საბავშვო სახლების რაოდენობა, დამაკმაყოფილებელი არ არის მათი მუშაობის ხარისხი. მთლიანად არ არის განხორციელებული საკავშირო სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1935 წლის 31 მაისის დადგენილება ბავშვთა უმეთვალყურეობისა და უპატრონობის მოსპობის შესახებ. ამ დადგენილების სავსებით განსახორციელებლად არსებულ საბავშვო სახლებს (25 საბავშვო სახლს) მესამე 5-წლედში მიემატება 4 ახალი სახლი. დუშეთის, ალბულაღის, აფხაზეთის, აჭარის, კოჯორის, ოსეთის, ფოთის და ადიგენის საბავშვო სახლები გაფართოვდება 700-მდე ადგილით.

მესამე ხუთწლედში დიდად განვითარდება საბიბლიოთეკო საქმეც. გაიშლება ქსელი სახელმწიფო-საჯარო, საქალაქო, სარაიონო, სასოფლო, საბავშვო ბიბლიოთეკებისა.

მესამე ხუთწლედში შეიქმნება ბიბლიოთეკები: საქალაქო — 80 ნაცვლად 1937 წლის 47-ისა, სარაიონო — 58 ნაცვლად 38-ისა, სასოფლო — 260 ნაცვლად 26-ისა. ამას გარდა ყველა სარაიონო ცენტრში უნდა გვქონდეს თითო საბავშვო ბიბლიოთეკა ე. ი. უნდა მოვაწყოთ 54 ახალი საბავშვო ბიბლიოთეკა.

მესამე ხუთწლედის განმავლობაში უნდა გაიზარდოს წიგნის ფონდი თვითეულ საქალაქო, სარაიონო, სასოფლო და საბავშვო ბიბლიოთეკაში სულ ცოტა ორი-სამი ათასი წიგნით.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მოზრდილთა განათლებას. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია სრულდება მეორე 5-წლედის ბოლოს, ხოლო მცირემცოდნეობისა — 1938 წელს, მოზრდილთა არასრულ და სრულ საშუალო სკოლებში უნდა ჩავაბათ 16 ათასი კაცი.

სტახანოვური მოძრაობის განვითარებასთან დაკავშირებით მესამე ხუთწლედში თვითგანვითარების წრეებში უნდა ჩავაბათ 53 ათასი კაცი.

მესამე 5-წლედი ითვალისწინებს აგრეთვე რაიონების კლუბებისა და ქოხ-სამკითხველოების რეორგანიზაციას. ჩვენი ვარაუდით 1942 წლისათვის უნდა გვქონდეს კულტურის 65 სახლი, იმ ანგარიშით, რომ თვითეულ სარაიონო ცენტრს თავისი სახლი ჰქონდეს. უნდა გვქონდეს 1.500 სასოფლო კლუბი. საკოლმეურნეო კლუბები დღევანდელი 20-დან 300-მდე გაიზრდება. კულტურისა და დასვენების 10 პარკის ნაცვლად უნდა გვქონდეს 40-50 მაინც.

არასრული და ნაწილობრივ სრული საშუალო სკოლის ფარგლებში სავალდებულო სწავლების განხორციელებასთან დაკავშირებით მასწავლებლის მომზადება-გადამზადების საკითხი კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ხდება. სასკოლო ქსელის უზრუნველყოფა სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებით ადვილი საქმე არ არის. მესამე 5-წლედის ბოლოსათვის დაწყებითს სკოლაში არ უნდა გვყავდეს არცერთი მასწავლებელი, რომელსაც საშუალო პედაგოგიური განათლება არ ექნება. გაძლიერდება პედაგოგების მომზადება ნაციონალური უმცირესობათა სკოლებისათვის. უმაღლესი კვალიფიკაციის მასწავლებელთა კადრი გადამწყვეტია არასრული საშუალო და საშუალო სკოლის ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების გასატარებლად. ამიტომ მესამე 5-წლედის გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პედაგოგიური, სამასწავლებლო ინსტიტუტებისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის განმტკიცებას. არასრულ და სრულ საშუალო სკოლებში დაგვჭირდება 22.195 მასწავლებელი — 1937 წელს გვყავს 10.215 თუ მხედველობაში მივიღებთ ბუნებრივ გაცხრილვას, უნდა მოვამზადოთ 14.577 მასწავლებელი.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო კადრებით უზრუნველყოფას, საერთოდ და განსაკუთრებით პედაგოგიკის დარგში სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის გაშლას, დაუსწრებელ პედაგოგიურ განათლებას, განათლების განყოფილებათა გამგეების მომზადებასა და გადამზადებას.

ფართოდ გაიშლება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობა. სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა შენობები 8.095.600 კუბიკური მეტრით გაიზრდება, სკოლებს შეემატება 569.950 მოწაფის ადგილი. აშენდება 11 საბავშვო სახლი, ბიბლიოთეკისათვის 29 სპეციალური შენობა. კულტურის 25 სახლი, 50 საკოლმეურნეო კლუბი, 14 პედსასწავლებელი, დამთავრდება სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკო-ქიმიური კორპუსი, საერთო საცხოვრებლები სახ. უნივერსიტეტის, ქუთაისის, სოხუმის, გორის, ბათუმის ინსტიტუტების სტუდენტებისათვის, საგრძნობლად ფართოვდება პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტები.

შეუძლებელია საგაზეთო წერილში მესამე ხუთწლედის ყველა კულტურულ-აღმშენებლობითი ღონისძიების ჩამოთვლა, მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, თუ რა გიგანტურ აყვავებას განიცდის მესამე ხუთწლედში ჩვენი კულტურა.

◇

მოსავლის აღებას მოუმზადებელი ხვდებიან

(სიღნაღი, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

კიდევ რამდენიმე დღე და სიღნაღის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე — გულშირაქისა და ალაზნის ველებში უნდა გაჩაღდეს თავთავიან კულტურათა მასობრივად აღება. მოსავალს ყველგან კარგი პირი უჩანს, მაგრამ მისი უდანაკარგოდ და შეუფერხებლად აღებისათვის აქ ცუდად ემზადებიან.

მარტო საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში რაიონს ხორბალი და ქერი 38.832 ჰექტარზე აქვს დათესილი. აქედან 29.000 ჰექტარი, ანუ მთელი ნათესის 74 პროცენტზე მეტი, მექანიზებული წესით — კომბაინებითა და თვითმკვრელებით უნდა იქნას აღებული.

ხელმძღვანელი ორგანოების მიერ დაწესებული ვადების მიხედვით მოსავლის ასაღები მანქანა-იარაღების რემონტი ყველგან 15 მაისამდე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ეს ვადა სიღნაღის რაიონში უხეშად დაარღვიეს. ქერის აღება აქ 5 ივნისიდან უნდა დაიწყონ, ხორბლისა და თივის — 15-დან, მიუხედავად ამისა, კომბაინების, თვითმკვრელების, სათიბებისა და სხვა მანქანა - იარაღების რემონტის გეგმა რაიონის მტს-ებსა და კოლმეურნეობებში სანახევროდაც არ არის შესრულებული.

ამ მხრივ განსაკუთრებული მდგომარეობა წნორის მტს-ში, აქ 29 კომბაინიდან 25 მაისისათვის მხოლოდ 7 კომბაინი იყო შეკეთებული და მტს-ის დირექტორს ამხ. სტეფანოვს არც ისინი ჰქონდა შემოწმებული და სახელოსნო გამგისგან აქტით ჩაბარებული. 6 სალეწი მანქანიდან შეკეთებულია 4. მოსავლის აღების წინ უნდა მოხდეს ყველა ტრაქტორის ტექნიკური დათვალიერება. ზოგიერთ ტრაქტორს სჭირდება შემკუმში რგოლების გამოცვლა, სარქველების მოხეხვა, საკისრების მოჭერა და სხვა მიმდინარე სამუშაოები, მაგრამ წნორში არც ამას აქცევენ სათანადო ყურადღებას. 25 მაისს 84 ტრაქტორიდან ტექნიკურ დათვალიერებაზე აქ მხოლოდ 24 ტრაქტორი იყო დაყენებული, ხოლო შემოწმება არცერთ მათგანს არ ჰქონდა გავლილი.

რემონტს აბრკოლებს სათადარიგო ნაწილების — ვენტილატორის კბილანებისა და ხვავის ტრანსპორტიორების უქონლობა. მტს-ის ხელმძღვანელებმა დროზე არ მიიღეს ზომები ამ ნაწილების შესაძენად და მათი ჩამოსხმა მხოლოდ ახლა დაუკვეთეს თბილისის ქარხნებს.

წნორში მოსავლის აღების არც სხვა ორგანიზაციული საკითხებია მოწესრიგებული. გამოყოფილი არ არის საკომბაინე ნაკვეთები, შეუკეთებელია ყანებში მისასვლელი გზები და ბოგირები. ზოგიერთ ტრაქტორისტსა და მეშტურვალეს გასულ წელს გამომუშავებულ შრომა დღეებზე კოლმეურნეობებისაგან ჯერაც არ მიუღიათ კუთვნილი ფული და პროდუქტი.

არც წითელწყაროს მტს-შია უკეთესი სურათი. 25 მაისისათვის 33 კომბაინიდან აქ მხოლოდ 17 იყო შეკეთებული. სალეწი მანქანების რემონტის გეგმა შესრულებულია 60 პროცენტით. აჭიანურებენ ტრაქტორების ტექნიკურ შემოწმებასაც. მტს-ს აკლია სათადარიგო ნაწილები — დამტვირთავი შნეკის კბილანები, დამჭერი ხრახნი, მეორე წმენდის ვენტილატორის საკისრები, სალეწებისათვის — ხის მასალა, თუნუქი, ლურსმანი და სხვ.

ტრაქტორების, კომბაინებისა და სალეწი მანქანების შეუფერხებელი მუშაობისათვის — მტს-ს დამატებით ესაჭიროება 100 კასრი, 80 ვედრო, 65 ძაბრი და სათადარიგო ნაწილების მარაგი, მაგრამ მათ შესაძენად აქ თავს არ იწუხებენ.

მოსავლის აღების კამპანიას თვით კოლმეურნეობებიც მოუმზადებელი ხვდებიან. ისინი დაუშვებლად აჭიანურებენ თვითმკვრელებისა და სათიბი მანქანების რემონტს. მალაროს, ბოდბის, ზემო-ქედისა და ქვემო - ქედის სასოფლო საბჭოებში შემავალი კოლმეურნეობები, რომლებსაც 37 თვითმკვრელი და 77 სათიბი მანქანა აქვთ შესაკეთებელი, სარემონტო მუშაობას ჯერაც არ შესდგომიან. წნორისწყალის სოფლსაბჭოს (თავმჯდომარე ახობაძე) 21 თვითმკვრელიდან შეკეთებული აქვს მხოლოდ 8, ქვემო-მაჩხაანისას — 6-დან 1, მირზაანისას — 5-დან 2 თვითმკვრელი.

კოლმეურნეობებს თვითმკვრელებისათვის სჭირდებათ 14.500 კილოგრამი ბაწარი და რამდენიმე ათასი ტომარა, რაც „სოფმომარაგებას" ჯერაც არ შემოუტანია. მარტო წნორის მტს-ის მომსახურებაში მყოფ კოლმეურნეობებს 18 ავტომანქანა აქვთ. მაგრამ ისინი წესრიგში მოუყვანელია. ზოგიერთ მათგანს სჭირდება რემონტი. არა აქვთ შინები, არც საწვავი მასალის ლიმიტია გახსნილი, არა ზრუნავენ ნამგლებისა და ცელების შეძენაზე, ბევრგან შეუკეთებელია ტრიერები, ურმები და საწყობები.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი თუ სასწრაფოდ არ გამოსწორდა, მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღება სიღნაღის რაიონში ძლიერ შეფერხდება. ეს უნდა გაითვალისწინონ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა.

ტ. აცანელი

თელავის რაიონში აბრეშუმს კარგი პირი უჩანს. მოელიან პარკის უხვ მოსავალს
სურათზე: აბრეშუმის ჭიის კვება სოფ. ქისტაურის კოლმეურნეობაში.

ხაშურის ამხ. ლ. ბერიას სახელობის ელექტრო-დეპოს სტახანოველი, ელექტრომავლის წამყვანი ამხ. გ. ქევლიშვილი (საქ. კ. პ. (ბ) წევრი), უავარიო მუშაობისათვის დაჯილდოვებულია გზათა სახალხო კომისარიატის მიერ სტალინური დამკვრელის ნიშნით.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

როდემდის იმუშავებს ტრამვაი ცუდად?

ტრამვაის მეურნეობას პირველ კვარტალში გეგმით უნდა გამოეშვა და კიდეც გამოუშვა 192 მოტორიანი ვაგონი. 34,8 მილიონი მგზავრის ნაცვლად გადაიყვანა 40,2 მილიონი. ამ ერთგვარად დამაკმაყოფილებელ მაჩვენებელს უკან იმალება ტრამვაის მეურნეობის ცუდი მუშაობა. აქ ჯერ კიდევ ბოლო ვერ მოუღეს უბედურ შემთხვევებს,— დაჯახებებს, მარცხებს. პირველ კვარტალში 64 უბედური შემთხვევა მოხდა, რამაც დიდი ზარალი გამოიწვია. აპრილში მდგომარეობა გაუმჯობესების ნაცვლად გაუარესდა:

ორ დეკადაში გეგმით ხაზზე უნდა გამოსულიყო 195 მოტორიანი ვაგონი, ფაქტიურად გამოვიდა 190. ტრამვაის მოძრაობის დარგს გაცილებით უკეთესად შეუძლია იმუშაოს, მაგრამ უდარდელობის, ვაგონის უპასუხისმგებლოდ მართვის პრაქტიკამ ყოველგვარ „მოლოდინს" გადააჭარბა, რითაც გაიზარდა შესაკეთებელ ვაგონთა რიცხვი. ვაგონის შეკეთებას აგვიანდება, ამიტომ ვაგონი დროზე ვერ გამოდის ხაზზე. ვაგონებს უხარისხოდ არემონტებენ, მაგალითად, ამასწინათ შეკეთებიდან ახლად გამოშვებული № 33 პირველი მარშრუტი ორი თუ სამი რეისის შემდეგ კვლავ შესაკეთებელი გახდა, № 44 მეორე მარშრუტი 25 აპრილს უნდა გასულიყო ხაზზე, მაგრამ არ გასულა, რადგან კომუტატორი დროზე ვერ შეაკეთეს.

ცუდად შეკეთების გამო ვაგონები ვერ ასრულებენ გეგმით გათვალისწინებულ ბრუნვას. მაგალითად, 28 აპრილს № 45 პირველ მარშრუტმა ერთი რეისი დაჰკარგა იმის გამო, რომ ცუდად იყო შეკეთებული, № 48 პირველმა მარშრუტმა—ერთი, მეცამეტე მარშრუტი ხაზზე ვერ გამოვიდა ლუზის გადაწევის გამო, № 203 მეცამეტე თითქმის 4 საათს გასცდა წინა მინის ჩაუსმელობის გამო, და ა. შ.

ტრამვაის დირექციამ დღემდე ვერ შესძლო აგრეთვე ბრიგადების იმგვარად განაწილება, რომ მუშაობა არ ფერხდებოდეს. მაგალითად, ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მიმდინარე შეკეთებაზე მომუშავე მონტიორები და მუშები ავარიებზე გადაჰყავთ, ხოლო ფარეხში მდგარ შესაკეთებელ ვაგონებზე არავინ მუშაობს.

ხაზზე ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ვატმანი, რომელიც დაინტერესებულია მხოლოდ გრაფიკის დაცვით და ანგარიშს არ უწევს მის უარყოფით მხარეს. თუ, მაგალითად, რომელიმე ვაგონი გამოვიდა გრაფიკიდან, ვატმანი ცდილობს გრაფიკში ჩადგომას, ამიტომ მას ვაგონი ნორმალურზე სწრაფად მიჰყავს, ამით უფრო ხშირდება ავარიები და მარცხები. მაგალითად, 25 აპრილს ვატმან კუჭახიძის პირველი მარშრუტი დაგვიანდა, ვატმანმა გრაფიკში ჩადგომის მიზნით დიდი სისწრაფე განავითარა და კლარა ცეტკინის ქუჩის გადასასვლელთან დაეჯახა ვაგონებს. ამან გამოიწვია დიდი ზარალი. ასეთი შემთხვევები, სამწუხაროდ, ბევრია.

ტრამვაის ვაგონების მოძრაობის გრაფიკი უნდა დავიცვათ უმარცხოდ, უავარიოდ, დროზე უნდა შეკეთდეს საჰაერო ხაზი, ვაგონი, წესრიგში უნდა მოიყვანონ სადისპეტჩერო სადგური, განამტკიცონ ის კადრი ხელმძღვანელებით, მოამზადონ მაღალკვალიფიციური მონტიორები, მოსპონ ოპორტუნისტული თვითდამშვიდება და უდარდელობა, —უამისოდ შეუძლებელი იქნება ტრამვაის მუშაობის გაუმჯობესება და მგზავრთა წესიერი მომსახურება.

ამბროსი წირღვავა.

მეტი ზრუნვა

საქართველოს საშუალო სკოლების დიდ ნაწილს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი აქვს მათემატიკის სწავლებაში. ალგებრისა და უფრო მეტად გეომეტრია - ტრიგონომეტრიის სწავლების დროს საჭირო მოთხოვნებს ვერ იცავენ.

გეომეტრიული ამოცანის ტრიგონომეტრიის გამოყენებით ამოხსნისას მოსწავლეები სრულებით არ იძლევიან ახსნა-განმარტებას, არა აქვთ მოცემული ამოცანის საბოლოო სახის ამოხსნა, არ იციან ტრიგონომეტრიული გარდაქმნები, ცუდად ხმარობენ ლოგარითმების ცხრილს, მოწაფეები ნახაზებს ცუდად ასრულებენ და ყველაფერ ამას მასწავლებელი უყურადღებოდ სტოვებს.

ნამუშევრების უსუფთაოდ შესრულების მხრივ ყველას თბილისის 107-ე სკოლამ გადააჭარბა. აქ წერითი ნამუშევრები ალგებრასა და გეომეტრიაში ყოვლად უმსგავსოდ არის შესრულებული. მასწავლებელი მიხ. დიდიძე ამ გარემოებას კმაყოფილი შესცქერის და „კარგ" და „ფრიად" ნიშნებს წარა-მარა არიგებს.

თითქმის ყველა სკოლაში მოწაფეებმა არ იციან მეტრული საზომების შემოკლებით აღნიშვნა, მათემატიკურ ტერმინებს დამახინჯებულად ხმარობენ და ასეთ შეცდომებს მასწავლებლებიც გაუსწორებლად სტოვებენ.

ზოგ სკოლაში მასწავლებელი მოსწავლეთა მიერ დაშვებულ უხეშ შეცდომებს ვერ ამჩნევს, ამის გამო ნამუშევრებს მეტად გულუხვად აფასებს. ასეთებია წალენჯიხის სკოლის მასწავლებელი ივ. კაკაჩია, საჯავახოს სკოლის მასწავლებელი მარ. ნუცუბიძე, თბილისის მე-26 სკოლის მასწავლებელი ტატ. პეტროკოვსკაია, ონისა — ივ. სულაძე და სხვ.

შარშან წერითი გამოცდები ძალიან ცუდად იყო მოწყობილი, ამიტომ საგამოცდო ნამუშევართა საგრძნობი ნაწილი მოწაფეებმა ერთმანეთისაგან გადაიწერეს. ამ მხრივ საეჭვო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე აბაშის, ფოთის, ჩხარის, დარჩელის, ბაღდათის, წალენჯიხისა და ბორჯომის საშუალო სკოლებში.

გარდა თბილისის 43-ე, მე-3 და 1-ლი სკოლების მასწავლებლებისა არცერთს არ აქვს მოცემული ნამუშევრების წერილობითი რეცენზია, უმეტეს შემთხვევაში საგამოცდო ნამუშევრები შეფასებულია მხოლოდ საგნის მასწავლებლების მიერ. მართალია ხანდახან ამ ნამუშევრებზე დირექტორი და კომისიის ზოგიერთი წევრიც კი აწერს ხელს, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად, მათ არავითარი შესწორება ან წინადადება არ შეაქვთ.

შარშან წერითი ნამუშევრების შეფასებისას შემჩნეული იყო ყოვლად დაუშვებელი და დასაგმობი ლიბერალიზმი. ამ მხრივ თავი „ისახელა" წალენჯიხის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ივ. კაკაჩიამ, რომელმაც მოწაფეების (დ. ხობელიას, ა. ცაქვას, შ. თოლორდავას და კ. ხოშტარიას) სუსტ ნამუშევარს „ფრიადი" ნიშნები დაუწერა, ხოლო ძალიან სუსტი ნამუშევარი საშუალო ნიშნით შეაფასა. მოწაფეთა საგამოცდო ნამუშევრები ასევე ლიბერალურად შეაფასეს ბაღდათის (ბ. ქორქოლიანი), ფოთის (ი. ყურაშვილი), ჩხარის (გ. ბოჭორიშვილი), თბილისის მე-15 (თ. მაჩაბელი), მე-14 (ბებურიშვილი) და ბევრი სხვა სკოლის მასწავლებლებმა.

არც პროგრამით გათვალისწინებული მასალის გავლის მხრივ გვაქვს დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. მასწავლებლებს პროგრამის ამოწურვისათვის ყოველგვარი პირობა აქვთ, მაგრამ მაინც რატომღაც „ვერ ასწრებენ" პროგრამის გავლას. ასეთებია: წალენჯიხის, დარჩელის, ბანძის, ავჭალის, ბორჯომის, ჯულელის, ახალქალაქის, წულუკიძისა და შაუმიანის საშუალო სკოლები.

მათემატიკის სწავლებაში ასეთი მდგომარეობის დატოვება ყოვლად დაუშვებელია. დაიწყო შემოწმებითი და კურსის დასამთავრებელი გამოცდები. ჩვენმა სკოლებმა სათანადო გაკვეთილი უნდა გამოიტანონ გასული წლის შეცდომებიდან.

გრ. ლორთქიფანიძე.
ნ. სვანიძე.

ჩაის ფოთლის კრეფა

მიწსახკომის 25 მაისის ცნობებით

რაიონები	საკრეფ. გეგმით გათვალისწინებ. კილოგრამობით	წლიური გეგმის შესრ. პროც.	მაისის გეგმის შესრ. პროც.
ბათუმი	109400	20,6	89,6
ქობულეთი	523803	18,3	76,2
აჭარის საბჭ. მეურ. ტრესტი	48800	21,2	95,6
სულ აჭარაში	682003	21,5	79,3
გალი	291181	25,1	119,3
ოჩამჩირე	131342	20,2	96,5
სულ აფხაზეთში	422523	23,3	111,1
მახარაძე	832000	17,5	79,8
ჩოხატაური	146600	20,3	92,7
ლანჩხუთი	468418	19,0	86,2
სამტრედია	32986	27,4	137,4
წულუკიძე	50366	25,1	126,0
ქუთაისი	11162	28,0	139,5
ტყიბული	50630	28,1	140,6
ცხაკაია	149025	25,2	120,1
გეგეჭკორი	215396	27,2	129,7
ზუგდიდი	351865	21,3	101,4
წალენჯიხა	130284	21,0	100,1
ჩხოროწყუ	116918	24,8	118,0
ხობი	87100	21,8	103,0
სულ რესპუბლიკაში	3697276	20,3	92,4

ზუგდიდისა და ხობის რაიონების ცნობები 20 მაისისაა. როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, გეგმის შესრულებაში ჩამორჩენილი არიან მახარაძის, ქობულეთის და ლანჩხუთის რაიონები. მიუხედავად იმისა რომ ჩაის მოსავალი ყველგან უხვი იყო, ამ რაიონებმა ვერ შესძლეს განუწყვეტელი კრეფის შემოღებით უზრუნველეყოთ გეგმის თანმიმდევრობით შესრულება. ამავე დროს რესპუბლიკური გეგმის დიდი ნაწილი აღნიშნულ რაიონებზე მოდის. სწორედ ამიტომაა, რომ რესპუბლიკური გეგმა 25 მაისისათვის 92,4 პროცენტით არის შესრულებული, მაშინ როცა ჩაის 17 რაიონიდან 12 რაიონს გეგმა შესრულებული აქვს საგრძნობი გადაჭარბებით.

ა. ბალათუროვი და მ. კახრამანოვი

პირუტყვის აღწერის შედეგი

1937 წლის 1 იანვრისათვის პირუტყვის აღწერის შედეგები გვიჩვენებს, რომ განვლილ 3 წელიწადში (1934 წლიდან დაწყებული) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორისა და ცხენის რაოდენობის მხრივ საქართველოს სს რესპუბლიკამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა როგორც ომამდელ დონეს (1913 წ.), ისე აღდგენითი პერიოდის უკანასკნელ წელს—1928 წელს.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ამჟამად 35,2 პროცენტით ანუ 458.000 სულით მეტი გვყავს, ვიდრე 1913 წელს და 11,2 პროცენტით ანუ 177.700 სულით მეტი, ვიდრე 1928 წელს; ცხენები—შესაბამისად 36,7 პროცენტით ანუ 44.200 სულით და 58,5 პროცენტით ანუ 60.800 სულით მეტი, ხოლო ღორები ამჟამად ითვლება 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს და 29 პროცენტით ანუ 157.400 სულით მეტი, ვიდრე 1928 წელს.

ცხვრისა და თხის რაოდენობით, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში სულადობა დიდად გაიზარდა, ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ომამდელ დონეს. 112.000 სულით ნაკლები გვყავს ომამდელ რაოდენობაზე, ხოლო 656.000 სულით მეტი, ვიდრე 1934 წელს. 1937 წელს, თუ გავითვალისწინებთ მიმდინარე წლის ნამატს, ცხვრისა და თხის სულადობის ომამდელ დონეს მნიშვნელოვნად გადავაჭარბებთ.

ამრიგად, როგორც აღნიშნა ამხ. ბერიამ საქართველოს კ. პ. (ბ) X ყრილობაზე, უკანასკნელ დროს ჩვენ მივაღწიეთ მეცხოველეობაში არსებული უხეში შეცდომების გამოსწორებას; აგრეთვე ხდება მავნებლობის შედეგების ლიკვიდაცია.

1936 წელმა მოგვცა პირუტყვის ძირითადი სახეების შემდგომი ზრდა. მაგრამ სულადობის ზრდის ტემპები 1936 წელს საგრძნობლად უფრო დაბალია, ვიდრე 1935 წელს. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დარგში გვაქვს მატება, 5,6 პროც. (94.246 სული) ნაცვლად 1935 წლის 10,7 პროცენტისა; ცხენებისა—1 პროც. ნაცვლად 1935 წლის 7,4 პროცენტისა და ცხვრისა და თხისა 9,3 პროც. (148.097 სული) ნაცვლად 1935 წლის 15,3 პროცენტისა (211.700 სული).

ღორის სულადობის მხრივ 1936 წელს ერთგვარი შემცირება გვაქვს 1935 წელთან შედარებით, რაც იმით აიხსნება, რომ კოლმეურნეობები 1936 წელს უზრუნველყოფილი არ იყვნენ საკვებით, აგრეთვე გავრცელდა ჭირის ეპიზოოტია, რამაც სულადობის დიდი დანაკლისი გამოიწვია.

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ღორის სულადობის ზრდის არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები, კერძოდ კოლმეურნეობებში, შედეგია დაუშვებელი და მავნე ლაყბობისა, თითქოს კოლმეურნეობებში მეღორეობა რენტაბელური არ იყოს. ბევრი რაიონული მუშაკი თავის არადამაკმაყოფილებელ და ცუდ მუშაობას მეღორეობის ხელმძღვანელობის დარგში ამ მავნე ლაპარაკით ფარავს.

გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო მავნე განწყობილებებს მეღორეობის ფერმების არარენტაბელობის შესახებ, ვინაიდან მეღორეობის წესიერად წარმოებისას, დამატებითი საკვების მაქსიმალურად გამოყენებით მეღორეობა შეიძლება გადაიქცეს და კიდეც უნდა გადაიქცეს საკოლმეურნეო მეცხოველეობის ერთერთ შემოსავლიან დარგად.

არ შეიძლება აგრეთვე გვერდი ავუაროთ იმ გარემოებას, რომ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის საერთო ზრდასთან ერთად მუშა-პირუტყვის (ხარისა და კამეჩის) რაოდენობა წლითი-წლობით კლებულობს.

1934 წელს მუშა-პირუტყვის სულადობა შემცირდა 1 პროცენტით, 1935 წელს 1,9 პროცენტით, ხოლო 1936 წელს 4,6 პროცენტით, აქედან იმ რაიონებში, რომლებსაც მტს-ები უწევენ მომსახურებას, 5.7 პროცენტით.

მუშა-პირუტყვის სულადობის ეს შემცირება, როგორც მიგვითითებდა ამხ. ლ. ბერია საქართველოს კ. პ. (ბ) X ყრილობაზე, მოწმობს იმას, რომ ბევრ რაიონში ადგილი აქვს მუშა - პირუტყვის მნიშვნელობის შეუფასებლობას, დავიწყებულია ის, რომ ცოცხალი გამწევი ძალა მექანიკური წევის აუცილებელ დამატებას წარმოადგენს.

პირუტყვის სულადობის ყველაზე მეტ ზრდას 1936 წელს კოლმეურნეობები იძლევიან. მაშინ, როდესაც მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო ზრდა 1936 წელს 5,6 პროცენტს შეადგენს, ცხენისა—1 პროცენტს და ცხვრისა და თხისა 9,3 პროცენტს, კოლმეურნეობებში სულადობის მატება 1935 წელთან შედარებით გამოიხატება: მსხვილფეხა პირუტყვისა 11,2 პროცენტით, ცხენისა 9,4 პროცენტით და ცხვრისა და თხისა 43,7 პროცენტით.

საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების რაოდენობა და მათში პირუტყვის სულადობა წლითი-წლობით განუხრელად იზრდება და საკოლმეურნეო მეცხოველეობის ხვედრითი წონა მატულობს.

საკოლმეურნეო პირუტყვის ხვედრითი წონა 1936 წელს 1934 წელთან შედარებით გაიზარდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა (ხარებისა და კამეჩების ჩათვლით) 14,2 პროცენტიდან 29,3 პროცენტამდე; ცხვრისა და თხისა 20,1 პროცენტიდან 27,7 პროცენტამდე; ცხენისა 7,2 პროცენტიდან 15,2 პროცენტამდე.

თუ 1934 წელს საქართველოში სულ იყო 1.104 საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმა, სადაც 38,700 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 185.100 სული ცხვარი და თხა, 15.400 ღორი და 1800 სული ცხენი ითვლებოდა, 1937 წლის 1 იანვრისათვის არსებობდა უკვე 2.338 საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმა, სადაც ითვლებოდა 102.500 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 143.100 სული ცხვარი და თხა, 42.000 სული ღორი და 9.600 სული ცხენი.

ამრიგად, უკანასკნელ წლებში და განსაკუთრებით საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1934 წლის ივნისის პლენუმის შემდეგ გვაქვს ფერმებისა და მათში პირუტყვის სულადობის მნიშვნელოვანი ზრდა. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ფერმების შემდგომი ორგანიზაციის საქმეში ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გამოყენებული კოლმეურნეობათა შესაძლებლობანი.

ასეთია პირუტყვის სულადობის დინამიკის ძირითადი მაჩვენებლები საერთოდ რესპუბლიკაში.

ამ მაჩვენებლებიდან შემდეგი დასკვნები გამომდინარეობს: ჯერ-ერთი, 1936 წელმა არა მარტო განამტკიცა საქართველოში წინა ორი წლის განმავლობაში მიღწეული წარმატებანი პირუტყვის სულადობის ზრდის მხრივ, არამედ პირუტყვის ძირითად სახეებზე სულადობის შემდგომი ზრდაც მოგვცა; მეორე—წინა ორ წელთან შედარებით სულადობის ზრდის ტემპები რამდენადმე შემცირდა; მესამე—1936 წელმა მოგვცა ღორისა და მუშა-პირუტყვის სულადობის შემცირება და ცხენის სულადობის სრულიად არადამაკმაყოფილებელი ზრდა. და, ბოლოს, იმ რაიონების გვერდით, რომლებმაც შეიგნეს მეცხოველეობის დარგში დასმული ამოცანები, სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ამ ამოცანების განხორციელებას და მეცხოველეობის დარგში კარგი მუშაობის ნიმუშებს გვიჩვენებენ, არის მთელი რიგი რაიონები, რომლებმაც, როგორც სჩანს, დღემდე ვერ შეიგნეს ეს ამოცანები, ძალიან ცუდად მუშაობენ მათი განხორციელებისათვის და 1936 წელს სულადობის შემდგომი ზრდის ნაცვლად შესამჩნევი შემცირება მოგვცეს.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულაობის შემცირებას იძლევიან: საგარეჯოს რაიონი 9,3 პროცენტით, თბილისისა—12,3-ით, აღბულაღისა—8,6-ით, ბაშკიჩეთისა — 5,7-ით, წალკისა—9,0-ით, კასპისა—11,5-ით, თელავისა—5,7-ით, ყვარლისა — 6,6-ით, ლუქსემბურგისა 9,5-ით და სხვ.

ამასთან საგარეჯოს, თბილისის, ლუქსემბურგისა და ბაშკიჩეთის რაიონებმა, რომლებმაც სულადობის ზრდის არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები მოგვცეს 1935 წელს, მიუხედავად საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის გაფრთხილებისა, 1936 წელსაც დაუშვეს სულადობის შემცირება.

1936 წლის 1 იანვართან შედარებით სულადობის ყველაზე მეტად შემცირებას იძლევიან ცხენების მხრივ: აღბულაღის რაიონი (8,0 პროც.), საგარეჯოსი (6,7), ბაშკიჩეთისა (11,1), წალკისა (11,2), ლაგოდეხისა (11,0), თიანეთისა (0,5) და ამბროლაურისა (9,1). ცხვრისა და თხის სულადობის შემცირებას იძლევიან წალკის (3,3 პროც.), აღბულაღის (1,4), ბორჩალოს (8,4) და ჯავის (2,7) რაიონები.

მიუხედავად სულადობის ზრდისა 1936 წელს (ღორების გარდა), მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა მთელი რიგი მაჩვენებლების მხრივ შესრულებული არ არის.

პირუტყვის აღწერის შედეგები საქართველოში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის ასეთ სურათს გვაძლევს: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის მხრივ გეგმა შესრულებულია 99,0 პროცენტით, აქედან კოლმეურნეობებში 108,6 პროცენტით; ძროხისა და ფურკამეჩის სულადობის ზრდის გეგმა შესრულებულია 103,0 პროცენტით, აქედან კოლმეურნეობებში 112,4 პროცენტით; ხბოებისა და ზაქების გაზრდის გეგმა შესრულებულია 98,9 პროცენტით, აქედან კოლმეურნეობებში 122,3 პროცენტით.

ცხვრისა და თხის რაოდენობის მხრივ გეგმა რესპუბლიკაში გადაჭარბებით არის შესრულებული, როგორც სულადობის ზრდის, ისე მოზარდეულის გაზრდის დარგში. სულადობის ზრდის გეგმა კოლმეურნეობებმა 131,4 პროცენტით შეასრულეს, ხოლო მოზარდეულის გაზრდისა 156,6 პროცენტით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მთელმა რიგმა რაიონებმა პირუტყვის ამ ჯგუფშიაც ვერ შეასრულეს ბატკნებისა და თიკნების გაზრდის გეგმა (თელავის, ლუქსემბურგის, წალკის, აღბულაღის, ბაშკიჩეთის რაიონები).

არადამაკმაყოფილებელია გეგმის შესრულების მაჩვენებლები ცხენების დარგში. სულადობის ზრდის გეგმა შესრულებულია 93,3 პროცენტით, ხოლო კვიცების გაზრდისა—86,6 პროცენტით.

რაიონების დიდმა უმრავლესობამ 1936 წელს არ შეასრულა ღორის სულადობის ზრდისა და გოჭის გაზრდის გეგმა. განსაკუთრებით ცუდი მაჩვენებლები აქვთ ამ მხრივ აღბულაღის, ლაგოდეხის, ახალქალაქის, ზუგდიდისა და ბოგდანოვკის რაიონებს, სადაც გეგმა თითქმის სანახევროდ შეუსრულებელია.

ასეთია მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების ძირითადი მაჩვენებლები საქართველოს სსრ-ში 1936 წელს.

რა არის იმის მიზეზი, რომ 1936 წელს პირუტყვის სულადობის ზრდის ტემპებმა იკლო 1935 წელთან შედარებით და არ შესრულდა სახელმწიფო გეგმა მსხვილფეხა პირუტყვის, ცხენებისა და ღორების დარგში.

თავის მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) V პლენუმზე ჯერ კიდევ 1936 წლის აგვისტოში ამხ. ლ. ბერიამ, გაუკეთა რა ანალიზი პირუტყვის ივნისის აღწერის მონაცემებს, მიგვითითა იმაზე, რომ „...გარდა ბატკნებისა და თიკნების გაზრდისა, მეცხოველეობის განვითარების გეგმა არადამაკმაყოფილებლად სრულდება".

როგორც მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგებმა გვიჩვენა, ბევრმა რაიონმა სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანა ც. კ-ის პლენუმის გაფრთხილებიდან, გული დაიმშვიდა 1935 წლის წარმატებებით და უდარდელობასა და განცხრომას მისცა თავი. სხვანაირად რით უნდა აიხსნას ის, რომ, მაგალითად, აღბულაღის, ლუქსემბურგისა და სხვა რაიონებმა მეცხოველეობის განვითარების გეგმა სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობებს ოქტომბერ-ნოემბერში მიაწოდეს, თიანეთის რაიონს კი 1936 წელს სულაც არ მიუწოდებია ეს გეგმა სოფლსაბჭოებისა და კოლმეურნეობებისათვის. ამასთან ერთად, ასეთი მდგომარეობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს სუსტი ბრძოლა მოზარდეულის შენარჩუნებისა და გაზრდისათვის, პირუტყვის ცუდი მოვლა და მთელ რიგ ადგილებში ისეთ სერიოზულ ღონისძიებათა არადამაკმაყოფილებლად ჩატარება, როგორიცაა დაგრილების კამპანია და ეპიზოოტიებთან (ღორის ჭირი) ბრძოლა.

ცხენების დარგში 1936 წელს გეგმის შეუსრულებლობა და ცხენთა სულადობის სუსტი ზრდა აიხსნება უწინარეს ყოვლისა 1935 წელს დაგრილების კამპანიის ცუდი ორგანიზაციით, აგრეთვე მიღებული ნამატის შენარჩუნებისათვის არასაკმაო ზრუნვით. ამის შედეგად, 1936 წელს ყოველ 100 ფაშატზე მივიღეთ 36 კვიცი, მაშინ როდესაც 1935 წელს გაზრდილ იქნა 40.

ღორის სულადობის შემცირება 1936 წელს და ამ მხრივ სახელმწიფო გეგმის შეუსრულებლობა, გარდა ცუდი მოვლისა, კვებისა და შენახვისა და ეპიზოოტიის წინააღმდეგ სუსტი ბრძოლისა, აიხსნება აგრეთვე ღორის სულადობის არასწორი დაგეგმვით ყვარლის, თელავის, სიღნაღის, ლაგოდეხის გურჯაანისა და სხვა რაიონების საკოლმეურნეო ფერმებში.

ამ გარემოებებმა, ხოლო რაც მთავარია. მეღორეობის ფერმების არადამაკმაყოფილებელმა ხელმძღვანელობამ მიწსახკომის, რაიალმასკომებისა და რაიმიწგანების მხრით, ეპიზოოტიურ დაავადებებთან ბრძოლის არადამაკმაყოფილებლად დაყენებამ და ნამატის მოვლის ცუდმა ორგანიზაციამ გამოიწვია გოჭების სიკვდილიანობის დანაშაულებრივად მაღალი პროცენტი ზოგიერთ რაიონში (აღბულაღი—3,9, ყვარელი—35,9, სიღნაღი—22,1 და სხვ.) და ღორების დაბალი პროდუქტიულობა ბევრ საკოლმეურნეო ფერმაში.

მთელი რიგი რაიონები დღემდე არ აქცევენ ყურადღებას მოზარდეულის გაზრდასა და შენარჩუნებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით დასკვნები და ამოცანები ნათელია.

პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების ხელმძღვანელებმა იმ რაიონებში, რომლებიც 1936 წელს მეცხოველეობაში ჩამორჩნენ, აგრეთვე იმ რაიონებში, სადაც წელს მოზარდეულის სიკვდილიანობა იყო, სერიოზულად უნდა ასწონ-დასწონონ და შეაფასონ ის მდგომარეობა, რაც შეიქმნა მათთან მეცხოველეობის განვითარების ხელმძღვანელობის მხრივ.

საჭიროა უპირველეს ყოვლისა, რომ მათ აღმოფხვრან უდარდელობა და თვითკმაყოფილების განწყობილება. საჭიროა გააძლიერონ თვითეული კომუნისტის, თვითეული კოლმეურნის სიფხიზლე, ვინაიდან კლასობრივ მტერს სოფლის მეურნეობის ამ დარგში შეუძლია ძალიან სერიოზული ზიანი მოგვაყენოს.

დასასრულ, საჭიროა შეამოწმონ თვითეული საკოლმეურნეო ფერმისა და სასოფლო საბჭოს მუშაობა, გამოავლინონ მეცხოველეობის დარგში მათი არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მიზეზები, განიხილონ შემოწმების შედეგები და დასახონ თვითეულ კოლმეურნეობაში და სასოფლო საბჭოში კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებმაც უზრუნველჰყონ 1937 წელს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულება.

ილია ჭავჭავაძის იუბილე

ილიას ნაწერები სომხურ ენაზე

ერევანი, 27 მაისი (საქდესი). სომხეთის ლიტერატურულ-საბჭოთა საზოგადოებრიობა აღნიშნავს ქართული ლიტერატურის უდიდესი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან ასი წლისთავს.

სომხეთის პრესა, კერძოდ „გრაკან ტერტი“ („ლიტერატურული გაზეთი“) ერთ გვერდს უძღვნის ი. ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. გაზეთმა მოათავსა მისი ლექსები („გაზაფხული“ და „ელეგია“), თარგმნილი სომეხი პოეტის ოვ. თუმანიანის მიერ.

სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობა დასაბეჭდად ამზადებს ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა კრებულს. სომხეთის მწერალთა კავშირი აწყობს ილია ჭავჭავაძის ხსოვნის საღამოს.

ლიტერატურულ-სამხატვრო ჟურნალის „ჰორურდაინ გრაკანუთიუნის“ მორიგი ნომერი მიეძღვნება ი. ჭავჭავაძეს.

საიუბილეო საღამოები აჭარაში

ბათუმი, (საკ. კორ.) აჭარის მწერალთა კავშირი ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავ იუბილესათვის ბათუმის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში აწყობს მწერლის შემოქმედების დამახასიათებელ გამოფენას. საიუბილეო საღამოები მოეწყობა ქობულეთის ამხ. მოლოტოვისა და ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებში, ჩაქვში, ოჩხამურში, სალიბაურში, ხულოსა და ქედის რაიონებში.

29 მაისს ბათუმის ქალაქის თეატრში მოეწყობა საიუბილეო საღამო, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებენ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ; გამოვლენ მწერლები და მოწაფეები. ილიას ნაწარმოებებს წაიკითხავენ აჭარის სახელმწიფო თეატრის მსახიობები.

ილია ჭავჭავაძის საღამოები, გარდა რაიონებისა, მოეწყობა ბათუმის მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებსა და საწარმოებში.

ბათუმის რადიო-სატრანსლაციო სადგური სისტემატურად ჩაატარებს ილია ჭავჭავაძის იუბილესადმი მიძღვნილ მხატვრულ გადაცემებს, რომლებიც უკვე დაწყებულია.

ილია ჭავჭავაძის ლექსიკონი

ნიკო მარრის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით ამზადებს გამოსაცემად მის ნაწარმოებთა ლექსიკონს.

ლექსიკონში ახსნილ - განმარტებული იქნება სულ 3.042 სიტყვა, 230 ანდაზა, რომელიც მოყვანილი აქვს ილიას თავის ნაწერებში. ამოკრებილია 1.020 გვარი და საკუთარი სახელი, 451 გეოგრაფიული სახელწოდება, 206 ჟურნალ-გაზეთისა და სხვ. ბეჭდვითი ნაწარმოების სახელწოდება.

ინსტიტუტის სამეცნიერო ძალებს გარდა ლექსიკონის დამზადებაში მონაწილეობას ღებულობენ ი. გრიშაშვილი, თ. სახოკია, ქრ. რაჭველიშვილი, ვ. კოტეტიშვილი, ვ. ეგნატაშვილი, ი. აგლაძე და სხვ.

ლექსიკონი გამოვა პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით.

ილიას გამოფენა საჯარო ბიბლიოთეკაში

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის მასობრივმა განყოფილებამ დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლის თავის შესრულებასთან დაკავშირებით მოაწყო ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია განყოფილებები: „სოფელი ყვარელი“, „სოფელი საგურამო“, „ილია პეტერბურგში“, „ილიას თანამედროვენი“, „ილიას დროინდელი თბილისი“, „ილია ჭავჭავაძე თბილისში“, „ილიას ავტოგრაფები“, „ილიას ნაწარმოებთა სხვადასხვა გამოცემა“, „ილიას თხზულებანი ილუსტრაციებში“, „ილიას მკვლელობის ადგილი“, „ილიას დასაფლავება“, „ჟურნალ-გაზეთები, რომელთა დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო ილია ჭავჭავაძე“, „ილიას დროინდელი ქართული პრესა“ და სხვ.

ჟურნალისტთა ახალი კადრის მომზადება

როგორც „პრავდის“ სახელობის ჟურნალისტიკის საკავშირო კომუნისტური ინსტიტუტი იუწყება, წელს ინსტიტუტთან არსებულ დაუსწრებელი სწავლების სექტორზე მსმენელთა მიღების პირობები შეცვლილია. ინსტიტუტთან აქამდე არსებული ორწლიანი და მოკლევადიანი დაუსწრებელი კურსების ნაცვლად დაარსებულია ჟურნალისტიკის ინსტიტუტის სამწლიანი დაუსწრებელი განყოფილება.

ხსენებულ განყოფილებაზე, რომელიც იძლევა უმაღლეს განათლებას და ჟურნალისტიკის ძირითადი ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა უფლებებს, მიიღება პრესის ყველა მუშაკი, როგორც პარტიის წევრი, ისე უპარტიო, რომელთაც აქვთ დამთავრებული საშუალო სკოლა.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიღების შესახებ განცხადებები მიიღება 1 ივლისამდე.

შესვლის მსურველთ გამოსცდიან შემდეგ საგნებში: საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, ლიტერატურა, რუსული ენა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია და მათემატიკა, სრული საშუალო სკოლის ფარგლებში.

გამოცდები მოხდება მოსკოვში 5—20 ივლისამდე.

◇ ◇ ◇

400 ქართული ხალხური სიმღერა

საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირმა დიდი მუშაობა ჩაატარა ქართული ხალხური სიმღერების შესაგროვებლად. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში უკვე შეგროვილია დაახლოვებით 400 ხალხური სიმღერა. მათ შორის ბლომადაა სიმღერები ხალხთა დიდ ბელადებზე—ლენინსა და სტალინზე, სიმღერები სოციალისტური მშენებლობის თემებზე, შრომითი, საყოფაცხოვრებო, საქორწილო და სხვა სიმღერები.

კრებულს გამოსცემს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ხალხური შემოქმედების კაბინეტი. კრებულს რედაქციას უწევს კოლეგია ამხ. ა. დუდუჩავას, პროფ. ვ. კოტეტიშვილისა და კომპოზიტორ გ. კოკელაძის შემადგენლობით. კრებული გამოვა დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის (საქდესი).

წაღვერის დასასვენებელი სახლი

სეზონი წაღვერში

საკურორტო სეზონი წაღვერის დასასვენებელ სახლში გაიხსნა 13 მაისს. ამჟამად იქ ისვენებს 350 კაცი. სეზონის გახსნას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა: შეკეთებულია ყველა ბინა, გაყვანილია კანალიზაცია, გამწვანებულია ეზო.

ნორმით წაღვერის დასასვენებელ სახლში უნდა ისვენებდეს 350 კაცი. მაგრამ სახლის ადმინისტრაციამ (დირექტორი ამხ. ადამ მახარაძე) ძველი აგარაკების შეკეთების ხარჯზე ეს ნორმა 400-მდე გაადიდა. 50 საგზური სახლს შეუძლიან ადგილობრივ გაჰყიდოს. საგზურის ფასია 232 მანეთი 12 დღეში.

დამსვენებელთა მომსახურება წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია. ყოველ სამ დღეში ეწყობა კინო-სეანსები, იმართება კონცერტები, თვითმოქმედების საღამოები. სახლს ჰყავს სპეციალური კულტმუშაკი და პიანისტი-ქალი.

სამკითხველო-ბიბლიოთეკა გადატანილია ახალ, სპეციალურად შეკეთებულ შენობაში, შევსებულია ახალი წიგნებით. სულ ბიბლიოთეკაში მოიპოვება 2.000-მდე წიგნი, გამოწერილია 50-მდე ჟურნალ-გაზეთი.

შარშანდელთან შედარებით გაუმჯობესებულია კერძების ხარისხი. სამზარეულოში გატარებულია მექანიზაცია. ახლა სასადილოს შეუძლიან გაუშვას დღეში 500 სადილი.

აღსანიშნავია, რომ „კურსნაბის“ ბორჯომის განყოფილება დროზე და საკმაო რაოდენობით ვერ ამარაგებს წაღვერის დასასვენებელ სახლს. ზოგიერთი პროდუქტი კი (კარტოფილი, ქათამი, ხიზილალა, მწვანილი) სრულებით არ მოიპოვება. „მიასოტორგი“ ცუდი ხარისხის ხორცს იძლევა.

ივლისში გაიხსნება საბავშვო ბაგა 35 ბავშვისათვის. ბაგაში მიიღებენ როგორც დამსვენებელთა, ისე დანარჩენ მოქალაქეთა ბავშვებს 1-5 წლამდე. საგზური ღირს 232 მანეთად.

თბილისური პიანინო

პატარა თითები ვირტუოზულად ცეკვავენ თეთრი ძვლის კლავიშებზე და პიანინოდან უხვად იღვრება ტკბილი და მიმზიდველი მელოდია. ღია ფანჯრიდან ქუჩაში მოისმის პიანინოს ხმა.

პიანინო — მუსიკალურ ინსტრუმენტთა დედოფალი, მარგალიტივით იშვიათი და შორეულ პლანეტასავით მიუწვდომელი იყო წინათ მოსახლეობის ფართო მასებისათვის. გადამთიელი კაპიტალისტები — ბეკერი, შრედერი და მათი მეტოქენი უხვად სარგებლობდნენ მონოპოლიით ნიკოლოზ მეფის იმპერიაში. ვინ შეიძენდა მაშინ პიანინოს, გარდა სოლოლაკელი ბურჟუებისა და მსხვილი მემამულეებისა? ვის ჰქონდა საშუალება ათასი მანეთების გაღებისა ამ ძვირფასი ნივთისათვის?..

ისტორიამ სხვანაირად ბრძანა. პიანინომ საპატიო ადგილი დაიკავა ჩვენი საბჭოთა მუშის, სტახანოველის საყოფაცხოვრებო საინვენტარო სიაში. არასოდეს, არც ერთ ქვეყანაში ისეთი მოთხოვნილება არ ყოფილა პიანინოებზე, როგორც ჩვენშია ახლა. მუსიკა მშრომელთა ფართო მასების საკუთრება გახდა და ამიტომაა, რომ არც ერთ ქვეყანაში იმდენი ლაურეატი არაა, რამდენიც ჩვენში. შრედერებმა და ბეკერებმა კი დიდი ხანია ფეხი ამოიკვეთეს. მაშ, საიდან მოდის ახალი პიანინოები?

5 ფაბრიკაა საბჭოთა კავშირში, პიანინოებისა და როიალების დამამზადებელი: ლენინგრადში, კიევში, ბორისოვკაში, ოდესასა და თბილისში. თბილისის ფაბრიკა უკანასკნელი როდია მათ შორის. თბილისის მუსიკალური ფაბრიკის პიანინოები თავისი მუსიკალური მონაცემების მიხედვით (ტონალობა, რეზონანსი) არაფრით ჩამოუვარდება ლენინგრადისა და უცხოეთის პიანინოებს. ეს იმიტომ, რომ თბილისის ფაბრიკას აქვს საუკეთესო სარეზონანსო ხე-ტყის მასალა.

წელს თბილისის მუსიკალურმა ფაბრიკამ 550 პიანინო უნდა გამოუშვას. ეს, რა თქმა უნდა, სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს მარტო საქართველოს მშრომელთა მოთხოვნილებას. ამიტომ ახლა ღრმაღელეში აგებენ ახალ მუსიკალურ ფაბრიკას, რომელმაც ყოველწლიურად უნდა მოგვცეს 4.000 პიანინო.

პიანინო — რთული და მეტად ფაქიზი ინსტრუმენტია. მის დამზადებაზე მომუშავე ხელოსნები უმაღლესი კვალიფიკაციისა უნდა იყვნენ და გარდა ამისა მათ უნდა იცოდნენ ამ რთული მუსიკალური ინსტრუმენტის დამახასიათებელი თავისებურობანი. ამ მხრივ თბილისის მუსიკალური ფაბრიკა კარგ მდგომარეობაშია. აქ ჰყავთ მაღალკვალიფიციური ოსტატები, ხელოსნები და ამწყობები, მაგრამ არა აქვთ სათანადო მექანიზმები, რომ შეიძლონ პიანინოების უფრო მეტი რაოდენობით გამოშვება. ფაბრიკა პრიმიტიულადაა მოწყობილი და ყველა სამუშაო პროცესი ხელით სრულდება. მომავალში, როცა ახალი მუსიკალური ფაბრიკა ამუშავდება, ასე აღარ იქნება. იქ გათვალისწინებულია ყველა სამუშაო პროცესის სრული მექანიზაცია.

მაგრამ ერთი მანკი აქვს თბილისის მუსიკალური ფაბრიკის პიანინოებს: ვერაა კარგად შეღებილი და პოლირებული. ახლა შეღების ეს „საიდუმლოება“ გამოცნობილია. საჭირო ყოფილა, თურმე, პირველ ყოვლისა პიანინო შეღებონ ე. წ. ნიტრო-ლაქით და შემდეგ წასვებული კრიალა საღებავი სამუდამოდ დამაგრდება პიანინოზე. ახლა ამ წესით ღებავენ აქაც პიანინოებს და მომავალში ბაზარზე გამოსული პიანინოები ამ მხრივაც აღარ ჩამორჩებიან უცხოეთის წარმოების პიანინოებს.

მუსიკალური ფაბრიკა ახლა უკვე მომგებიანი საწარმოა. წელს იგი ქვეყანას მისცემს 250.000 მანეთის მოგებას.

ივლისიდან თბილისის მუსიკალური ფაბრიკა იწყებს ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტებისა (თარი, ჩონგური, ჭიანური და სხვ.) და ევროპული და აზიური გარმონების გამოშვებას.

თბილისის ზოოპარკის ტურების ოჯახში დაიბადა სამი პატარა ტურა. სურათზე: ზოოპარკის ექიმი ამხ. ჩარგოგლიანი ახლად დაბადებული ტურებით.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ხელოვნება

ლანჩხუთის თეატრი

ლანჩხუთის სახელმწიფო თეატრმა რესპ. დამს. არტისტის ი. აბაშიძის ხელმძღვანელობით მოკლე ხნის განმავლობაში დიდი მუშაობა შეასრულა და კოლმეურნეთა სიყვარული დაიმსახურა.

სეზონი გაიხსნა 28 თებერვალს „ნინოშვილის გურიით“. სპექტაკლმა დიდი ინტერესით ჩაიარა და დღემდე 23-ჯერ დაიდგა. წარმოდგენებს ესწრებიან კოლმეურნეები მეზობელი რაიონებიდანაც. რამდენიმე დღის წინათ „ნინოშვილის გურიას“ სპექტაკლს დაესწრო 150 კოლმეურნე ქობულეთიდან.

ვინაიდან ტერიტორიულად დაშორებული კოლმეურნეობანი ვერ ესწრებიან წარმოდგენებს, მათ შუამდგომლობა აღძრეს სპექტაკლების კოლექტივებში გადატანის შესახებ. 20 მაისიდან წარმოდგენები გადატანილია კოლმეურნეობებში, რაც დიდ სიხარულსა და აღფრთოვანებას იწვევს. მოთხოვნილია „ნინოშვილის გურიას“ და „შემოდგომის აზნაურების“ ასი წარმოდგენა.

თეატრი შეუდგა მუშაობას „არსენა მარაბდელის“ დასადგმელად. ლიტერატურული მონტაჟი გაკეთებულია მ. ჯავახიშვილის რომანის მიხედვით. პრემიერა — 20 ივნისს.

ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავს თეატრი აღნიშნავს სპეციალური საღამოს მოწყობით 29 მაისს. ნაჩვენები იქნება სურათები „აჩრდილიდან“, „კაკო ყაჩაღიდან“, „განდეგილიდან“, „დედა და შვილიდან“, „გლახის ნაამბობიდან“, „კაცია ადამიანიდან“ და „ოთარაანთ ქვრივიდან“. კადრების ჩვენებას წინ უძღვის მთხრობელისა და გუნდის წინასიტყვაობა მეფანდურე ქალთა ანსამბლის აკომპანიმენტზე.

კიბოს სამკურნალო

საქართველოს წითელი ჯვრის მთავარ საავადმყოფოში 27 მაისიდან გაიხსნა სპეციალური ონკოლოგიური (კიბოს სამკურნალო) სტაციონარი 70 საწოლით. ონკოლოგიურ სტაციონარს ექნება შემდეგი განყოფილებები:

რადიო - რენტგენოლოგიური, ქირურგიული და თერაპიული, სადაც, როგორც მედ-ინსტიტუტის რენტგენოლოგიური კათედრის ბაზაში, იწარმოებს სპეციალურად კიბოთი და საერთოდ სიმსივნეებით დაავადებულთა კომბინირებული მკურნალობა რადიო-რენტგენის სხივებით, იქვე მოწყობილია რესპუბლიკური ონკოლოგიური დისპანსერი.

როგორც სტაციონარში, ისე დისპანსერში ავადმყოფთ საექიმო დახმარებას უფასოდ უწევენ.

კრებები

— მწერალთა სასახლეში 28 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის საბავშვო სექცია მართავს ნინო ნაკაშიძის, ი. მჭედლიშვილის და რ. ქორქიას ახალი საბავშვო ზღაპრების კითხვას. დასწრება შეუძლიანთ მხოლოდ მწერალთა კავშირის წევრებს.

— 28 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის დარბაზში პროფ. ვუკოლ ბერიძე გააკეთებს მოხსენებას: „ილია ჭავჭავაძე—ახალი ქართული სალიტერატურო ენის სადარაჯოზე“. შესვლა თავისუფალია.

— 29 მაისს, საღამოს 8 საათზე, შინსახკომის კლუბში (ბესიკის ქ. № 4) ორჯონიკიძის სახელობის რაიონული საბჭო იწვევს 1915 და 1916 წ. წ. დაბადებულ წვევამდელთა რაიკონფერენციას. —

— 28 მაისს, საღამოს 7 საათზე, მოწვეულია საქ. სტალინის სახელობის უმაღლესი კომუნ. სკოლის მეცხოველეობის კათედრის ღია სხდომა; დღის წესრიგშია: დოც. გ. სანიკიძის მოხსენება თემაზე: „საქართველოს მთის საქონელი“. სხდომა შესდგება სკოლის მეცხოველეობის კაბინეტში (შიო ჩიტაძის ქ. № 6).

— განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის, 3) 28 მაისს, საღ. 8 საათზე, შესდგება პოლკ. ლ. გარსიაშვილის ლექცია: „ესპანეთის ამბები“. დასწრება თავისუფალია.

სასამართლო

საკოლმეურნეო დოვლათის გამფლანგველები

— კაცო, ამდენს რომ ვმუშაობთ, ნეტავი შრომა-დღეს თუ დაგვიწერენ?

— მოგცლია, ძმაო, ლადო ტატიშვილის სახლის მშენებლობაზე რომ ვიმუშაოთ, კოლმეურნეობა რა შუაშია. შრომადღეს მაშინ გვიწერენ, როცა კოლმეურნეობაში ვმუშაობთ.

ასე საუბრობდნენ თბილისის რაიონის მუხრანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, როცა ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარის ლადო ტატიშვილის სახლს აშენებდნენ. კოლმეურნეების შრომას უშედეგოდ არ ჩაუვლია. როგორც იქნა ტატიშვილის სახლი აშენდა და დაიწყო შიგ საამური ცხოვრება.

— რა უჭირს ტატიშვილს, სახლის მშენებლობაზე კაპეიკი არ დაუხარჯავს,— ამბობდნენ მეზობლები.

ნათქვამია: ერთი შერჩა მელასაო, გაუხშირა კბენასაო. ასეა სწორედ ტატიშვილის საქმე. რაკი კოლმეურნეების ნაშრომი შერჩინა, ახლა უფრო დიდი გული მიეცა. ვაჭრობას მიჰყო ხელი. კარაპეტოვს მიჰყიდა კოლმეურნეობის კუთვნილი ვენახის სარი და აღებული ფული ჩაიჯიბა. შემდეგ ეს ეცოტავა და დაიწყო კოლმეურნეობას ხარ-ურემის წარა-მარა გაქირავება.

— არა, ეს ცოტაა, საჭიროა უფრო მეტი,—სთქვა ტატიშვილმა და კოლმეურნეობის შეშა გაჰყიდა. შემდეგ 100 ფუთი ხორბალი.

ტატიშვილის ქცევით გათამამებულმა მახარაძემაც არ დააკლო ხელი. მას კარგი თანამდებობა ეჭირა კოლმეურნეობაში, საწყობის გამგედ მუშაობდა და საკოლმეურნეო დოვლათიც მის ხელთ იყო. მახარაძემ თავისი „საქმენი საგმირონი“ ლობიოს მითვისებით დაიწყო, შემდეგ 16 ფუთი სიმინდიც გაზიდა და ბოლოს ფულებშიც დაურია ხელი.

— ხომ ხედავთ ტატიშვილი აშენდა, მახარაძეც შენდება, ჩვენ რაღა დავაშავეთო —და ბრიგადირებმაც დაიწყეს მსუქანი ლუკმის ძებნა. ბრიგადირი არჩილ დოინჯიშვილი ზემოთ დასახელებულ „ჩამჯიბავთა“ ბრიგადას შეუერთდა. დოინჯიშვილმა კოლმეურნეები უფასოდ ამუშავა თავის კარმიდამოში, ხოლო მეორე ბრიგადირმა ლადო კენჭიაშვილმა ამ „საგმირო“ საქმეების გამორკვევამდე მხოლოდ პროდუქტების მითვისება მოასწრო.

ამ საქმის გამოძიება უკვე დაამთავრა თბილისის რაიონის გამომძიებელმა. ამ დღეებში საკოლმეურნეო დოვლათის გამფლანგველები წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

კ. გიაძე

კრემატორიუმი თბილისში

თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს კრემატორიუმის აგებას თბილისში. კრემატორიუმის შენობის საერთო მოცულობა 5.000 კუბური მეტრი იქნება. მის ირგვლივ უნდა გააშენონ დიდი პარკი, პავილიონები და სამოზაიკო სახელოსნო.

კრემატორიუმში ორი ღუმელი იქნება. 12 საათის განმავლობაში კრემატორიუმი დასწვავს 12 ნეშტს. საკრემაციო შენობის აგება დაჯდება 425.000 მანეთად.

პარკის გასაშენებლად გამოყოფილი იქნება 18 ჰექტარი.

შემთხვევები

# ბოროტმოქმედების ადგილზე. სისხლის სამართლის მილიციის სადგ. თბილისის ოპერატიული პუნქტის თანამშრომლებმა შეიპყრეს ქურდი რეციდივისტი ს. ა. ხუდავერდოვი, რომელსაც რამოდენიმე რეგისტრაცია აქვს ქურდობისათვის. ხუდავერდოვი დააპატიმრეს ბოროტმოქმედების ადგილზე, ერთ-ერთი მგზავრისათვის ნივთების მოპარვის ცდის დროს.

# მძარცველთა ბანდის შეპყრობა. ბაღდათის რაიმილიციამ შეიპყრო მძარცველთა ბანდა, რომელიც რამოდენიმე თვის განმავლობაში თარეშობდა ბაღდათის რაიონში. ბანდაში შედიოდნენ: ს. ბ. ვარდოსანიძე, ა. ლ. ვარდოსანიძე, ს. კ. არეშიძე, ა. ე. შველიძე და გ. ი. დათუაშვილი. ბანდიტებთან ერთად სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემული ბანდიტების მფარველები და მათი თანამონაწილენი კ. დ. ნ. ა. და ლ. პ. ვარდოსანიძეები. მათ ბინებში აღმოაჩინეს ნაძარცვი ნივთები და იარაღი.

28 მაისს, საღამოს 7 საათზე, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საზამთრო შენობაში (პლეხანოვის პრ. № 182) შესდგება საქართველოს კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება.

დღის წესრიგშია: **ამხ. ა. მგელაძის მოხსენება საკ. ალკკ ც. კ-ის III პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ.**

შესვლა რაიკომების მიერ გაცემული ბარათებით.

საქ. ალკკ თბილისის კომიტეტი

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე ა. იაკობაშვილი.

ლენინის ორდენოსანი
რუსთაველის
თეატრი

28-V	გმირთა თაობა
29-V	გმირთა თაობა

დასაწყ. 8 ს. 30 წ.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

28-V	იცკა რიქინაშვილი
29-V	იცკა რიქინაშვილი

დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

დღეს კინოთეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8, 9-30 11	ახალი ხმოვანი ფილმი გობსეკი ო. ბალზაკის ნოველის მიხ.
დამკვრელი 6-30, 8, 9-30 11	(საზამთ. და საზაფხ.) ახალი ხმოვ. მხატ. ფილმი ქორწინება ნ. გოგოლის მიხედ.
კომკავშირელი 6-30, 8-30. 10-30	(საზაფხ. და საზამთრო) ახალი ხმოვ. ფილმი ცამეტი
რ. ლუქსემბ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	დადგმის მე 5 კვირა ხმოვ. სურ. ქართულ ენაზე [illegible]
26 კომ. სახ. 6-30 8-30. 10-30	საზამთ. მეხ. დარიკო საზაფხ. „ტომ სოიერი“
ახალი ამბები.	ესპანეთის ამბები გამოშ. მე-17. საბჭოთა ხელოვნება № 3.
კომინტერნი (საზაფხულო) 8-30. 10-30	ხმოვანი ფილმი ქართულ ენაზე დარიკო

ექიმი ი. ჭეიშვილი
კანის და ვენერიული ავად.
იღებს: დილის 8—9 ს. და საღამოს 7—8 ს.
კამოს ქუჩა № 72.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა

გამოვიდა და იყიდება შემდეგი ბროშურები:

1. **ი. სტალინი**—საკოლმეურნეო მოძრაობის საკითხისათვის, ფასი 50 კაპ.
2. **ი. სტალინი**—დიადი გარდატეხის წელი, ფასი 35 კაპ.
3. სსრ კავშირის 1937 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა, ფ. 80 კ.
4. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორიის შესწავლის პროგრამა მაღალი ტიპის წრეებისათვის, ფასი 1 მან.
5. **ხ. ურანოვი**—უცხოეთის დაზვერვათა გადაბირებითი მუშაობის ზოგიერთი ვერაგული ხერხის შესახებ, ფასი 40 კაპ.

39

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა—საქპარტგამომცემლობა
აუწყებს

ყველა იმათ, ვინც წინათ მუშაობდა საქპარტგამომცემლობაში და რაიმე მიზეზით არ მიუღია მე-2 ხუთწლედის სესხის (მე-4 წლის გამოშვების) და წინანდელ მასობრივ სესხთა ობლიგაციები,—გამოცხადდნენ საქპარტგამომცემლობის ბუხჰალტერიაში (ფურცელაძის ქ. № 7 და მიიღონ ცნობა—კიროვის რაიშემნახველ სალაროში № 3528 წარსადგენად და უკანასკნელი სესხისა და წინანდელ მასობრივ სესხთა გადასაცვლელი ობლიგაციების მისაღებად. სესხმფლობელნი, რომელთაც ახალი ობლიგაციები ხელზე არ ექნებათ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ. ვინც მე-2 ხუთწლედის უკანასკნელი სესხის (მე-4 გამოშვების) თავის ობლიგაციებს 1938 წლის 1-ლ ივნისამდე არ მიიღებს, აგრეთვე ვინც წინანდელ მასობრივ სესხთა ობლიგაციებს 1937 წლის 1-ლ სექტემბრამდე არ გადასცვლის, ამ ვადების შემდეგ ჰკარგავს მათი მიღების უფლებას. 191

სახელგამი

აცხადებს, რომ, თანახმად სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა, მის სისტემაში შემავალი საბიბლიოთეკო კოლექტორი აწარმოებს ყველა ტიპის ბიბლიოთეკების დაკომპლექტებას საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული ლიტერატურით, სხვადასხვა გამომცემლობათა წიგნების პროდუქციით: ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე. ბიბკოლექტორი აწარმოებს აგრეთვე საბიბლიოთეკო ტექნიკით (ბარათები, წიგნების და მკითხველთა ფორმულიარები, საინვენტარო წიგნები, ყველა სახის საბიბლიოთეკო ყუთები და სხვ.) მომარაგებას.

მისამართი—პუშკინის ქ. № 19. ბიბკოლექტორი.

3—2 190

თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი
აცხადებს 1937/38 სასწავლო წლის 1 კურსზე სტუდენტების მიღებას ქართულ და რუსულ სექტორზე:

1. სატყეო სამეურნეო და
2. ტყის დამზადების მექანიზაციის და მშრალი ტრანსპორტის ფაკულტეტზე.

სწავლების ვადა—5 წელიწადი.

სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით, საერთო საცხოვრებლით კი სხვა ქალაქებიდან ჩამოსულნი, ვინც საჭიროებს.

მიღებასთან დაკავშირებით გაწეულ სამგზავრო ხარჯებს ინსტიტუტი არ იხდის.

უგამოცდოდ მიიღებიან 10-წლედდამთავრებულნი, რომელთაც ძირითად საგნებში ჰყავთ „ფრიადი“, დანარჩენ საგნებში კი „კარგი“.

დანარჩენნი აბარებენ საკონკურსო გამოცდებს შემდეგ საგნებში: მათემატიკა, ქართული, რუსული, ერთი უცხო ენა (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული), ფიზიკა, ქიმია და პოლიტცოდნა. შემსვლელთ შემოაქვთ განცხადება შემდეგი საბუთების დართვით:

ა) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი),
ბ) ავტობიოგრაფია,
გ) პასპორტი (წარედგინება პირადი გამოცხადებისას),
დ) ცნობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ (წარადგენენ მხოლოდ სამხედრო ვალდებულნი),
ე) სამი ფოტოსურათი (3×4 სანტ.),
ვ) ცნობა სახელმწიფო სამკურნალ. დაწესებულებიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

განცხადებების მიღება სწარმოებს 20—ივნისიდან 1-ლ აგვისტომდე.

გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

განცხადება და ცნობები მიიღება შემდეგი მისამართით: თბილისი, ვაკე, სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი. ტელეფ. № 3-11-20.

1105 თბ. სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი ორლოვი.

თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის
საკვალიფიკაციო კომისია
იუწყება, რომ მის საჯარო სხდომებზე მოხდება დისერტაციების დაცვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1. 3 ივნისს დღის 12 საათზე ქალაქის მეორე საავადმყოფოს შინაგან სნეულებათა კლინიკის აუდიტორიაში (კამოს 103) ასისტენტი **კლავდიოს ტყემალაძე** „ეხინოკოკები, მათი ეტიოლოგია, გავრცელება, სიმპტომატოლოგია, კლინიკა და მკურნალობა“. ოფიციალური ოპონენტებია პროფ. ა. მაჭავარიანი და პროფ. კ. ერისთავი.
2. 3 ივნისს იქვე ასისტენტი **გიორგი ფავლენიშვილი** „საქართველოს ჩიყვის კლინიკური და პისტოპათოლოგიური სურათის შესწავლისათვის“. ოფიციალური ოპონენტებია პროფ. ა. მაჭავარიანი და პროფ. გ. მუხაძე.
3. 4 ივნისს დღის 12 საათზე ქალაქის პირველ საავადმყოფოს შინაგან სნეულებათა კლინიკის აუდიტორიაში ასისტენტი **აკაკი ბაქრაძე** „მშობიარობის უმტკივნეულოდ ჩატარების საკითხისათვის“. ოფიციალური ოპონენტებია პროფ. ბ. ღოღობერიძე და პროფ. პ. შუშანია.
4. 4 ივნისს იქვე ასისტენტი **გრამიტონ ახათიანი** „გონორეული ვაგინიტების საკითხისათვის“. ოფიციალური ოპონენტებია პროფ. გ. ლამბარაშვილი, პროფ. ბ. ღოღობერიძე, პროფ. პ. შუშანია.
5. 9 ივნისს დღის 12 საათზე ქალაქის პირველ საავადმყოფოს შინაგან სნეულებათა კლინიკის აუდიტორიაში ასისტენტი **ქეთევან ცომაია** „ვეგეტატიური ნერვული სისტემის ტონუსი თავის ტკივილის მიმდინარეობაში“. ოფიციალური ოპონენტებია პროფ. ს. ყიფშიძე და პრივატ-დოცენტი ნ. ფოფხაძე.
6. 9 ივნისს იქვე ასისტენტი **ნინო ალექსიძე** თემაზე „ხელოვნურ პნევმოთორაქსის დროს შუასაძგიდის ცდომის გავლენა სისხლის მიმოქცევაზე“. ოფიციალური ოპონენტებია პროფ. ვ. ვორონინი და პროფ. კ. ცომაია.

მსურველთ შეუძლიათ შრომებს გაეცნონ სამედიცინო ინსტიტუტის შენობაში სწავლულ მდივანთან ყოველდღე 2—5 საათამდე.

თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის
1108 საკვალიფიკაციო კომისია.

საკავშირო მიწსახკომის თბილისის
ვეტერინარული ტექნიკუმი
მომავალი 1937/38 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოწაფეთა მიღებას ქართულ და რუსულ სექტორზე.

ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის სავეტერინარო მუშაკებს—ვეტექიმის თანაშემწის წოდების მინიჭებით. სწავლის ხანგრძლივობა სამი წელი.

ტექნიკუმში მიიღებიან ყველა მოქალაქენი ორივე სქესისა წლოვანებით 15 დან 30 წლამდის, რომლებსაც ექნებათ მომზადება არა ნაკლებ არასრული საშუალო სკოლისა (შვიდწლედის) და რომლებიც ჩააბარებენ სათანადო გამოცდებს არასრული საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში.

განცხადებების მიღება ივნისის 1-დან აგვისტოს 18-დე ტექნიკუმის დირექტორის სახელზე. განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რომელ სექტორზე (ქართულზე, თუ რუსულზე) სურს შესვლა.

განცხადებებთან დართულ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: 1. მოწმობა (უეჭველად დედანი) არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ, 2. ცნობა სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულებიდან იმის შესახებ, რომ შემომსვლელი არ არის დაავადებული ისეთი ავადმყოფობით, რომელიც ხელს შეუშლის ტექნიკუმში სპეციალობის შესწავლაში, 3. მეტრიკული ამონაწერი დაბადების შესახებ და 4. ორი ფოტოგრაფიული სურათი შემომსვლელის საკუთარი ხელის მოწერით, შემოწმებული სახელმწიფო დაწესებულების მიერ.

პირადად გამოცხადებისას წარმოდგენილ უნდა იქნას პასპორტი.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 19 დან 28 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: 1. მათემატიკაში (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია—წერითი და ზეპირი), 2. ფიზიკაში, 3. მშობლიურ ენაში და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი) და 4. ფიზიკურ გეოგრაფიაში.

1937 წელში არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომელთაც ზემოაღნიშნულ საგნებში აქვთ შეფასება „ფრიადი“, ტექნიკუმში მიღებულ იქნებიან უგამოცდოდ.

ტექნიკუმში ჩარიცხულებმა სასწავლებლად გამოცხადებისას თან უნდა მოიტანონ ლოგინი და აგრეთვე თითო წყვილი ლოგინის თეთრეული (ბალიშის პირი და ზეწარი).

ტექნიკუმში ჩარიცხულთა 85 პროც. უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო სტიპენდიით და აგრეთვე საერთო საცხოვრებლით საერთო საფუძველზე.

ვეტტექნიკუმის მისამართი: თბილისი, ზემო ვაკე.

1101 თბილისის ვეტტექნიკუმის დირექტორი ა. სვანიძე.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—8254